№ 25—1905 წ.

„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

[illegible] 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 25. კვირა, 11 ივლისი 1905 წლისა. № 25.

14 ივლისს დაბა ხონში დანიშნულია
სარმოცო წირვა და პანაშვიდი
ალექსანდრე წულუკიძის
მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე **ელენე**, დედ-მამა: თ-დი **გრიგოლ სიმონისძე** და **მარიამ ერმილეს ასული წულუკიძეები** და მამიდები: კნ. **ნინო ჩიქოვანისა** და კნ. **მარიამ დადიანისა**.

შინაარსი: აგრარული კითხვის გამო.—ალექსანდრე წულუკიძის საფლავთან.—წერილები და დეპეშები ალ. წულუკიძის გარდაცვალების გამო რედაქციის სახელობაზე.—სხვა-და-სხვა ამბები.—დაბა-სოფლის ამბები.—რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთის ქრონიკა.—დრონი იცვალენ, ანუ მწარე ფიქრები (სამი მონოლოგი), ნ. აზიანისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ბურჟუა და პროლეტარი (თარგმანი). ბ. ივანე გომართლის წერილის გამო.—ჩემი შთაბეჭდილებანი, პროლეტარიატი, ლიასი.—დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა, კლარა ცეტკინასი (გაგრძელება).—წერილები რედაქციის მიმართ.

აგრარული კითხვის გამო

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ აგრარული საკითხი იმგვარი საკითხთაგანია, რომელიც დღეს ყველაზე უფრო გამწვავებულია. ჩვენი გლეხ-კაცობა დიდი ხანია იტანდა ათასგვარ გაჭირვებას და შევიწროებას, დიდი ხანია იგი მოკლებული იყო ადამიანურ ცხოვრებას. არ იყო არავითარი კანონი, რომელსაც გლეხ-კაცის პიროვნების დაცვა შეეძლებოდა; არ იყო არც ერთი დაწესებულება, რომელსაც მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა ჰქონოდა დავალებული. გლეხობის დროებით დაბეჩავებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ თანამედროვე ცხოვრების პირობებმა პირველი ალაგი ქალაქს არგუნა და სოფელი კი შედარებით დაქვეითდა. როგორც მრეწველობის და ალებ-მიცემობის, ისე გონებრივი განვითარების ცენტრი ქალაქი შეიქნა: მაშინ როცა ქალაქი თან და თან იზრდებოდა, როგორც ქონებრივათ, ისე გონებრივათ, სოფელი ისევ ძველ პირობებში რჩებოდა; იქ ისევ ძალაში იყო ბატონ-ყმობის დროიდან დარჩენილი წესები. რასაკვირველია, სოფლის მყუდრო ცხოვრება ირღვეოდა, თუმც ძლიერ იშვიათათ, რაიმე კერძო ამბოხებით, ე. ი. ერთი ან რამდენიმე გლეხის მემამულესთან შეტაკებით, მაგრამ ჩქარა ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში ვარდებოდა. ამავე დროს გლეხ-კაცობის უმეტესი ნაწილის ნივთიერი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა და ეცემოდა. რაც დრო გადიოდა გლეხობის უმრავლესობა სულ უფრო და უფრო ხდებოდა დამოკიდებული მემამულეებისაგან. სახნავ-სათესი მიწა, საბალახე, ტყე, წყალი, ურომლისოთ გლეხ-კაცს სიცოცხლე არ შეუძლია, მისთვის სულ უფრო და უფრო ძნელი მისაწდომი ხდებოდა, ვინაიდგან მემამულეები თან და თან უმატებდენ და მაღლა წევდენ ღალას, იჯარას და ყველა სხვა გადასახადს და ბეგარას. ასე გეგონებოდათ, რომ ამ მომატებას საზღვარი აღარ აქვსო. სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ ასეთი შევიწროება, ასეთი აღვირ-ახსნილი ექსპლოატაცია ყოველგან ერთნაირი როდი ყოფილა: ზოგან გლეხ-კაცობა უფრო მეტ გაჭირვებას იტანდა, და ზოგან ნაკლებს, იმის მიხედვით, თუ როგორი იყო მისი გასაჭირი; რამდენათაც მეტ საჭიროებას გრძნობდა გლეხ-კაცობა კერძო მემამულეების მიწა-ადგილში, იმდენათ უფრო სამძიმო ხდებოდა მისთვის მემამულეებთან საქმის დაჭერა.

როგორც ზევით ვამბობდით, გლეხების მდგომარეობა მწვავდებოდა, დახსნა კი არსაიდან ჩანდა. დიდ ხანს იყო ეს ასე, ე. ი. მანამდის, სანამ ქალაქის მუშების ბრძოლამ კაპიტალისტების და მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ სოფელშიაც არ შეაშუქა, სანამ მუშების დიდებული მოძრაობა გლეხებშიაც არ გადავიდა და ისინიც არ გამოაღვიძა. და აი მიყრუებულ სოფლებში დაბეჩავებულ და გაჩანაგებულ გლეხებში დაიწყო მოძრაობა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც დღემდის გლეხებს ავიწროებდა და ჩაგრავდა. დაწყებული ერთ კუთხეში ეს მოძრაობა ჩქარა მოედვა მთელ მხარეს. ამას არავინ არ მოელოდა, და ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ყველა გაბატონებული კლასებისათვის და იმათთვისაც, ვინც იმათ ინტერესებს იცავს, ეს მეტათ საშიშარი შეიქნა. აშკარა იყო, რომ გლეხების წინააღმდეგ ყოველგვარ ზომებს მიიღებდენ და არაფერს არ დაზოგავდენ, ოღონდ კი მოძრაობა ჩაექროთ. და აი გლეხებს გამოუცხადეს ომი, იმათ წინააღმდეგ იხმარეს ყველა ზომები, რომლებიც დაცდილი ქონდათ, ე. ი. დატუქსვა, გამათრახება, დატყვევება, ციხე, ციმბირი და ბოლოს ეგზეკუცია. მაგრამ ყოველივე ეს ამაო შეიქნა. ამიტომ ეხლა სხვა ზომებს მიმართეს: იწყეს გლეხების დამშვიდება სხვა და სხვა გვარი შეღავათის დაპირებით; დაუწყეს იმათ ლაპარაკი იმაზე, რომ მართალია ისინი გაჭირვებული არიან, მაგრამ ამისთვის მთავრობა მუდამ ზრუნავდა და ახლაც ზრუნავს, რომ საჭიროა მხოლოთ იმათი დამშვიდება, რომ მან უფრო გულმოდგინეთ და უფრო ენერგიულათ მოკიდოს ხელი იმათი მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეს. მაგრამ გლეხებმა აღარც ეს დაიჯერეს. იმათი აზრით დღეს მარტო სიტყვები აღარ კმარა, საჭიროა საქმით გვაჩვენოთ, ნამდვილათ დაგვანახოთ, რაც ჩვენთვის გწადიათ. გვეყო რაც ამდენ ხანს ვითმინეთ, კმარა, რაც გამოგვივლია. და მართლაც გლეხების მოძრაობა არა თუ ცხრება, გლეხები არა თუ არ მშვიდდებიან, არამედ იმათი მოძრაობა უფრო ფართოვდება და იზრდება. მართალია, გლეხების დღევანდელი მოძრაობა როდია წმინდა პროლეტარული ხასიათის მოძრაობა; გლეხების მოთხოვნების უმეტესი ნაწილი იმ ხასიათისაა, რომ ისინი პირდაპირ ეწინააღმდეგებიან პროლეტარიატის მისწრაფებას და

იდეალს, ე. ი. კერძო საკუთრების მოსპობას; მხოლოთ კერძო საკუთრების მოსპობა შრომის ყოველგვარ იარაღზე, როგორც არის, მაგ., მიწა, ბოლოს მოუღებს შრომის ექსპლოატაციას, ე. ი. ადამიანის მიერ ადამიანის გაყვლეფას. მაგრამ გლეხკაცობა საერთოთ ვერ დაადგება ამ გზას მანამ, სანამ დღევანდელ საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობები არსებობენ. საჭიროა ამ პირობების სრული გაქრობა, რომ გლეხებში დაიწყოს უფრო შეგნებული, წმინდა კლასობრივი ხასიათის მოძრაობა. გლეხკაცობა ფაქტიურათ დღესაც სხვა და სხვა ელემენტებისაგან შედგება, რომლების ნივთიერი ინტერესები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან. აშკარაა, რომ გლეხების უმრავლესობის საკითხი მთელი მშრომელი ხალხის საკითხია, და თუ დღეს იგი გამოცალკევებულია, ეს მხოლოთ იმიტომ რომ გლეხები განსაკუთრებული პირობებში ცხოვრობენ. ეს პირობები კი ისეთია, რომ ისინი ხელს უშლიან წმინდა პროლეტარულ მოძრაობის განვითარებას გლეხ-კაცობაში. გლეხ-კაცობა საუკუნოების განმავლობაში მიკრული იყო მიწას, იგი დიდი ხნის განვლილ მიწის კერძო საკუთრების პრინციპზე იყო და არის აღზდილი, თუმც იმათ უმრავლესობას წილათ ხვდა მხოლოთ ამ საკუთრების აჩრდილი. გლეხებში უნდა თან და თან გავრცელდეს ის აზრი, რომ სანამ მიწის კერძო საკუთრება იქნება, მანამ გაჭირვებას და დაჩაგვრას ბოლო არ მოეღება. რას უშველის დღეს გლეხს მიწის შეღავათიანი პირობების აღება, რასაც მას პირდებიან, თუნდაც რომ მართლა შეუსრულონ ეს დაპირება? რას უშველის გლეხს დღევანდელი მისი მიწის მცირე საკუთრების გადიდება, როცა ყველაფრისათვის ფულია საჭირო, როცა მიწის სარგებლობა მხოლოთ იმას შეუძლია, ვისაც შეძლება ანუ ფული აქვს? აშკარაა, რომ ეს მხოლოთ მოტყუილებაა. შეიძლება გლეხკაცობის უმცირესმა ნაწილმა მართლა იქონიოს ასეთი იმედი. ეს იქნება მისი სრული შეუგნებლობის ნაყოფი, და იგი ჩქარა დარწმუნდება, რომ სასტიკათ მოტყუვდა.

გლეხებმა ამიერიდან აღარავის იმედი აღარ უნდა იქონიონ. იმათი ხსნა მხოლოთ იმათ მოქმედებაზეა დამოკიდებული; მუშების განთავისუფლება, დიდებული მეცნიერის სიტყვით, თვით მუშებისვე საქმეა და სხვისი არავისი. გლეხებიც ხომ იგივე მუშები არიან, და ამიტომ იმათი განთავისუფლებაც მხოლოთ იმათი საქმეა და სხვისი არავისი.

ალ. წულუკიძის საფლავთან.

14 ივლისს შესრულდება ორმოცი დღე ალ. წულუკიძის გარდაცვალების შემდეგ. უკვე ორმოცი დღე გადის მას შემდეგ, რაც სიკოკლეს გამოესალმა დაუღალავი და თავგანწირული მებრძოლი ხალხის თავისუფლებისათვის. სიკვდილმა გამოგვლიჯა ხელიდან ეს საუკეთესო ამხანაგი იმ დროს, როცა მისი გაელენიანი და ნიჭიერი სიტყვა და მოქმედება მეტათ საჭირო იყო. ნუ დაივიწყებთ, რომ ალექსანდრეს ულმობელმა სიკვდილმა მოუსწრო იმ დროს, როცა იგი თავის მოღვაწეობას იწყებდა, მას არ დასცალდა სანახევროთ განეხორციელებია ცხოვრებაში ის, რის იმედს მისი ძლიერი ნიჭი და ფართო განვითარება გვაძლევდა. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ალ. წულუკიძის მოღვაწეობა უდროოთ შეწყდა, მიუხედავათ იმისა, რომ ამ მოკლე ხნის განმავლობაშიაც მას მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ, როგორც, მაგ., დღევანდელი ცხოვრების დუხჭირი და აუტანელი პირობები და მძიმე ავათმყოფობაა, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში ებრძოლა განსვენებული, მიუხედავათ ყველა ამისა, ალ. წულუკიძემ მაინც შესამჩნევი კვალი დატოვა ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ვერც გარეგანმა დაბრკოლებამ, ვერც სასტიკმა დევნამ და ძლიერთა მუქარამ და ვერც დაუნდობელმა სენმა მას იარაღი ვერ გააგდებინა ხელიდან. ხელდაუკანასკნელ ამოსუნთქამდე შეურყეველათ ებრძოდა განსტუნებული კლასებს, როგორც მუშა ხალხის ერთი საუკეთესო ბელადთაგანი, მან პატიოსნათ და პირნათლათ შეასრულა თავისი მოვალეობა და ნამდვილი ჰეშმარიტი მოქალაქის ვალი. მისი გასვენება, მისი ცხედრის გარშემო კავკასიის თითქმის ყველა კუთხიდან შეკრებილი აუარებელი მუშა ხალხი, რამდენიმე ენაზე წარმოთქმული სიტყვები, ყოველივე ეს აშკარათ მოწმობს, თუ ვინ იყო, რას აკეთებდა და ვის ემსახურებოდა ალ. წულუკიძე. მან უარყო ბრწყინვალე წოდება, უარყო ფუფუნებაში ცხოვრება, და შეუერთდა დამცირებულს, მიწასთან გასწორებულს დაბალ წოდებას, სოფლის და ქალაქის პროლეტარიატს, შეიქნა მისი მოსარჩლე, მისი თვითცნობიერების გამამტკიცებელი. მან მოგვცა საუკეთესო მაგალითი თავგანწირული მუშაობისა მშრომელ ხალხის სასარგებლოთ. დღე, მისი მაგალითი გახდეს მისაბაძი ყველა იმათთვის, ვინც მასთან ერთათ ემსახურა დიდებულ საქმეს; დღე, მისი წმიდა საფლავი იყოს იმის ნიშანი, რომ ხალხისთვის თავდადებული და თავგანწირული მოღვაწის სახელი არასოდეს არ მოკვდება!

წერილები ალ. წულუკიძის გარდაცვალების გამო რედაქციის სახელობაზე.

ქ. ლეოპბენი 13 ივლისი. (ახ. სტ.) რაღაც გაუგებარ მიზეზების გამო მხოლოთ დღეს შევიტყეთ აქაურმა ქართველ სტუდენტებმა, რომ უდროოთ გარდაიცვალა წრფელი მუშაკი ხალხის განთავისუფლებისათვის ძვირფასი საშა წულუკიძე. ამის გამო, გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოგვაცხადებიოთ ჩვენი თანაგრძნობა და მწუხარება მის ნათესავებისა და ამხანაგებისადმი.

ლეოპბენის სამოთ აკადემიის სტუდენტები: მელქს. მიქელაძე, გრიგოლ ჩხეიძე, ნიკოლოზ ალავიძე—ავრეთვე თანაგრძნობას აცხადებს ა. მიქელაძე.

—

ქ. ართვინი. უგზო-უკვალოთ განცალკევებულ ართვინში მცხოვრებთ გვეუწყა გულის შემზარავი ამბავი თავგანწირულის მებრძოლის ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალებისა, რამაც დიდი მწუხარება გამოიწვია ჩვენში.

ართვინელთა პატარა ჯგუფი.

—

გარდა ამისა ასეთივე შინაარსის წერილები მოუვიდა რედაქციას ბბ. ტ. მიქელაძისაგან და თ. ღლონტისაგან, მაგრამ უადგილობის გამო ვერ იბეჭდება.

სხვა და სხვა ამბები.

ადგილობრივ გაზეთებში ამ დღეებში დაბეჭდილი იყო ამბავი, რომ კავკასიის ნამესტნიკს გენერალი ამილახვარი და პავლავაძე გაუგზავნია თფილისის გუბერნიის იმ ადგილებში, სადაც გლეხების მოძრაობაა. ხსენებული გენერლები აღჭურვილი არიან განსაკუთრებული უფლებით, შეუძლიათ დააპატიმრონ საეჭვო პირები, ჩასვან ისინი ციხეში, რისთვისაც მათ თან გაყვებათ დრაგუნის პოლკის თითო ესკადრონი. იმათ დანიშნულებას შეადგენს ამასთანავე მოიწვიონ სოფლის ყრილობები და გამოუცხადონ გლეხებს ის ზომები, რომლებსაც მთავრობა ღებულობს გლეხების დღევანდელი მოძრაობის ჩასაქრობათ. გარდა ამისა ისინი უკითხავენ და ავრცელებენ ხალხში ნამესტნიკის შემდეგ განცხადებას გლეხების მიმართ:

განცხადება კავკასიაში მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მოადგილის გენერალ-ადიუტანტის

გრაჟის ვორონცოვ-დაშკოვისა. როგორც კი ჩამოველი ჩვენის ყოვლად მოწყალე **ხელმწიფე იმპერატორის** წებითა და ნდობით ჩემის გამგეობისადმი რწმუნებულ ქვეყანაში, მწუხარებით შევიტყე, რომ ზოგიერთს ადგილებში ბოროტგამზრახველის ხალხის მიერ წაქეზებით გლეხკაცობამ გაბედა თავის ნებითა და ძალადობით დაპატრონება კერძო მფლობელთა მიწებისა და ტყეებისა. დაექცია მათი კარმიდამო და დაეტაცა ქონება; ამასთანავე მაცნობეს სხვა და სხვა მოხსენება და მოთხოვნილება გლეხკაცთა მიერ სიტყვიერად და წერილობით გამოთქმული იმაზედ, თუ რა გაჭირვება ადგიათ მათ შინაურ და საზოგადო ცხოვრებაში.

ვაცხადებ კავკასიის ყველა გლეხკაცთათვის: კანონი მკაცრათ დაიცავს ყოველ საკუთრებას, და თუ ვინმე უკანონოთ იჩემებს, მეტადრე თუ ვინმე ძალადობას ხმარობს, დამნაშავე დაისჯება არა თუ მარტო სასტიკათ, არამედ ქონებრივ პასუხის გებაშიაც მიეცემა იმ ზარალისათვის, რომელიც მიუყენებია სხვისი საკუთრებისათვის.

ამიტომ **ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესის** ბრძანებით ამა 1905 წლის აპრილის 10-ს უმართებელესის სენატის სახელობაზე **უმაღლესათ** ბრძანება ინება: დაარსდეს იმ მაზრებში, სადაც უწესოება მოხდა, განსაკუთრებული დროებითი კომისიები, რათა ცნობაში იქმნას მოყვანილი, როგორც ის პირები, ვინც მიიღო გლეხთა უკანონო ყრილობაში მონაწილეობა, ისე მიყენებულის ზარალის რაოდენობაც. ეს ზარალი ანაზღაურებელი იქნება იმ სასოფლო საზოგადოებათა ქონებიდან, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ყრილობაში და რომელთაც დაარბიეს და გაცარცვეს სხვები. ასეთი კომისიები იქნება დანიშნული აგრეთვე ამიერ კავკასიის იმ მაზრებშიაც, სადაც უწესოება მოხდა.

ყველა იმ თხოვნებში, რომელიც წარმოადგინეს სასოფლო საგლეხო საზოგადოებათა თავის საჭიროებისა და მოთხოვნილებისა გამო და რომელიც მე მომახსენეს, მე ვცნობ ყურადღების ღირსათ მხოლოთ იმას, რაც შეეხება: დროებით ვალდებულ გლეხთა და მათ ყოფილ მებატონეთა ურთიერთობას; სახნავ მიწების, საძოვარ ადგილების და ტყეების უქონლობას; ეხლანდელ სასოფლო საზოგადოების მოუწყობლობის და სოფლის მოხელე პირთა რჩენის სიძვირეს; სამღვდელო პირთა სასარგებლოთ გადასახადების სიმჭიდეს და გამოურკვევლობას; ახლანდელის სასოფლო სკოლების უყარგისობას; სასოფლო საავათმყოფოების ხარჯის სიმძიმეს; სასოფლო საზოგადოებათა შორის გზის საკეთებელის და აგრეთვე მოხელეთათვის სამგზავრო ხარჯის უთანასწოროთ განაწილებას; სახაზინო, საერო და სასოფლო გადასახადებისა და ბეგარის აკრეფის წესრიგის უყარგისობას.

მე ვუბრძანე რომ ყოველივე ეს საჭიროებანი დაუყონებლივ იქნას გამორკვეულ თვითეულ შემთხვევაში სოფლის საზოგადოებათა მიერ მათ შორისვე არჩეულ წარმომადგენელთა მონაწილეობით. შემდეგ მე მივიღებ ყოველსავე ღონის ძიებას, რათა, რაც შეიძლება ჩქარა, დაკმაყოფილებულ იქმნას კანონიერი მოთხოვნილება სოფლის საზოგადოებათა და მოსპობილ იქმნას ის უწოსოება, რომელიც ხელს უშლის გლეხთა კეთილდღეობის წარმატებას და მათი შრომით ცხოვრების წესიერ და წყნარ მიმდინარეობას. მაგრამ ამასთანავე ვაფრთხილებ გლეხკაცობას, რომ არაფრის გულისათვის არ იქონიონ იმედი, რომ შეუმატონ რამე თავიანთ სანადელო მიწებს კერძო მესაკუთრების ადგილმამულისაგან.

კანონი, რაკი იცავს გლეხთა საკუთრებას, აგრეთვე იცავს საზოგადოთ ყოველსავე კერძო საკუთრებას; ამიტომ თუ გლეხები მოინდომებენ სახნავ მიწების, საძოვარ ადგილების და ტყეების სარგებლობას, შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოთ ამ ადგილების პატრონებთან შეთანხმებით.

ხოლო მე მივიღებ ღონისძიებას, რათა დავაკმაყოფილო გლეხების საჭიროება და გადავსცე მათ შესავათინანის პირობით სახაზინო მიწები და დავეხმარო გლეხებს, რომ საგლეხო საადგილმამულო ბანკის შემწეობით შეიძინონ ადგილები კერძო მესაკუთრეებისაგან.

დასასრულ მოვიწვევ გლეხებს, რომ გულდასმით შეუდგენ მუშაობას და არ დაუჯერონ ბოროტგამზრახველ პირთა რჩევას და ახსოვდეს, რომ **ხელმწიფე იმპერატორმა** თავისი საბრძანებლის უმთავრეს საზრუნველ საქმეთ დაისახა რიცხვმრავალ გლეხთა წოდების ყოფა ცხოვრების საუკეთესოთ მოწყობა.

გენერალ-ადიუტანტი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

— სოფ. ახალქალაქიდან იწერებიან, რომ იქ უკვე მისულა გენერალი ამილახვარი და საგანგებო საქმეთა მოხელე გენერალი ჟუკოვსკი, რომელთაც ყრილობა გაუმართავთ დიდძალი გლეხობისა.

— მიხეილის საავადმყოფოში უკვე გარდაიცვალა მეშვიდე საპოლიციო უბნის ზედამხედველი ილინი, რომელიც ამ დღეებში დასჭრეს.

— როგორც გვატყობინებენ ალავერდის ჭარხანაში (ბორჩალოს მაზრა) გაფიცულან მუშა ოსები და პატრონებისთვის თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ.

— გურიის სასოფლო სამართველოთა მწერლების რეზოლიუცია, მიღებული 23 ივნისის კრებაზე.

ცხოვრებას ჩამორჩენილ ბიუროკრატულ რეჟიმისაგან გამოწვეული გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მოედო რუსეთის სახელმწიფოს ყოველ კუთხეს და საზოგადოების ყოველ ნაწილს, ვალათა გვდებს ჩვენ, როგორც მოქალაქეთ, დავუფიქრდეთ რუსეთის ხალხის პოლიტიკურ ცხოვრების რეალურს და მასთან მეტათ ურთიერთო პირობებსა. რუსეთის სახელმწიფო გადაქცეულია სამეფოთ, სადაც ას ორმოც მილიონიან ხალხის ხმას არა აქვს არავითარი ფასი და სადაც მუშა ხალხი, ეს კაცობრიობის საძირკველი, ეს მესაფლავე ახლანდელ ბურჟუაზიულ წყობილებისა, ათასობით რომელიც დამყარებულია ყველაფასა და გარყვნილებაზე, იტლიტება ჩვენი მრავალ-წამებული ქვეყნის ქალაქების ქუჩებში, და სადაც მთელი ხალხის, განსაკუთრებით კი მუშა ხალხის ინტერესების მოწინააღმდეგე ერთი მუჭა ბიუროკრატები არიან რუსეთის ბედ—იღბლის გადამწყვეტნი. ასეთ კრიტიკულ დროს არა თუ ყოველი კორპორაცია, სახელმწიფოს თითოეული წევრიც კი ვალდებულია ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ შესაფერი პოზიცია დაიკავოს და საყოველთაო გასაგონათ ხმა აამაღლოს. ჩვენც, თანახმათ ზემორე მოყვანილ მოსაზრებისა, მოვითხოვთ ხალხის წარმომადგენელთა დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელიც არჩეულ უნდა იქნეს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და საიდუმლო კენჭის ყრით.

— კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიამ მოწერილობანი დაუგზავნა კავკასიის გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს. ცირკულიარში ნათქვამია, 1886 წლის 20 მაისის კანონის ძალით, როდესაც ჯარი ადმინისტრაციის დასახმარებლათ იგზავნება, ჯარის გადასაყვან-გადმოსაყვან ხარჯს ხაზინა ეწევა. რადგანაც ამ ჟამათ საჭიროა ხოლმე აქეთ-იქით, მოძრაობის დასამშვიდებლად, ჯარის გზავნა, ამიტომ ნამესტნიკის საბჭოში ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, თუ ჯარის სადგომის ხარჯი ვინ უნდა გადაიხადოს—ხაზინამ თუ მცხოვრებლებმა. ამის გა

მო კაცელარია შეეკითხა პოლიციის დეპარტამენტს. გამოირკვა, რომ ჯარის სადგომების ხარჯი, როცა ჯარი ამა თუ იმ ადგილში ადმინისტრაციის დასახმარებლათ იგზავნება, უნდა იკისრონ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. ნამესტნიკის კანცელარიამ ეს ამბავი აცნობა გუბერნატორებს.

— გაზ „კავკაზში“ სწერია: კივკავის რკინის გზის ერთ სადგურზე უნახავთ ორმოცი ათასი პატრონა.

— ბაქოში, როგორც ,,კას.'' გადმოგვცემს, აზრათა აქვთ, გააუქმონ ეხლანდელი საადმინისტრაციო წყობილება და დანიშნონ გრადონაჩალნიკი. გრადონაჩალნიკის გარდა ბაქოში დაინიშნება ორი პოლიცმეისტერი და ოთხი იმათი თანაშემწე. ქალაქი 14 ნაწილათ იქნება გაყოფილი. ქალაქის წრეში შევლენ ბაბი-ეიბათი, ბაილოვი, თეთრი და შავი ქალაქი. გუბერნატორი გრადონაჩალნიკის დანიშვნის შემდეგ იცხოვრებს შემახაში.

— გაზეთებს: ,,რუსსკია ვედომოსტის'' და ,,ნოვოსტის'' ,,მავნე'' მიმართულებისთვის პირველი გაფრთხილება გამოეცხადათ და ცალკე ნომრებით ვაჭრობა აეკრძალა. გაზეთი ,,სლოვო'' ერთი თვით შეჩერებულ იქნა იმავე მიზეზით.

— კავკასიის ნამესტნიკმა დაავალა ადმინისტრაციის მხელეებს, თავად-აზნაურთა და გლეხთა წარმომადგენლებთან ერთათ შეკრიბონ ცნობები იმის შესახებ, თუ რა ზარალი მოუვიდათ მემამულეებს წელს გლეხთა მოძრაობის გამო. როცა ზარალი გამოირკვევა, მისი გადახდა მემამულეთა სასარგებლოთ გლეხობას დაეკისრება. ამის გამორკვევის საქმეს კიდეც შეუდგენ. კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, გუშინ წინ სოფელ დილომში გაემგზავრენ გენ.-ლეიტ. სტახოვიჩი, გენ.-ად. თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე, მაზრის უფროსი თავ. ჯანდიერი და სხვა. თავ. ჭავჭავაძემ ხალხს გადასცა: სხვის საკუთრებას ნუ შეეხებით, თორემ ზარალს გადაიხდით; თუ გლეხობა უმიწა-წყლობით შეიწროვებულია, შეეძლიან ითხოვოს და თავისუფალი სახელმწიფო მიწები მიეცემა, აგრეთვე თუ მოისურვებენ ადგილების შეძენას, ახლო მომავალში მთავრობა დახმარებას გაუწევს საგლეხო ბანკიდან სესხის იაფათ მიცემითაო და სხვა. დილმელებს ამასთან გამოეცხადათ, რომ წელს მემამულეებს ერთს დესიატინა ადგილზე 5 მან. უნდა გადაუხადონ და აგრეთვე ზარალი 6000 მანათი უზღონ.

— ოთხ ივლისს თამამშოვის ქარვასლაში მოვაჭრეებმა ვაჭარს გიორგი საკოვს ბოიკოტი გამოუცხადეს, საკოვმა ამხანაგობის დადგენილება. დაარღვია ამავე მიზნით გამოუცხადეს ბოიკოტი ალექსანდრე მატინოვს № 42

— ოთხ ივლისს კუკიის ხიდზე მკვიდრი გაჩხრიკეს, რომელსაც 52 რევოლვერი და 4500 პატრონა აღმოაჩნდა.

— ექვს ივლისს ქალაქ ჰელსინგფორსში ყუმბარა ესროლეს გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე ე. დიტრიხს, რომელიც მძიმეთ დაიჭრა. დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს.

— ამ დღეებში გაზ. ,,ცნობის ფურცელში'' და ,,ნოვ. ობოზრენიაში'' გამოცხადებული იყო, რომ ,,კავკაზის'' საზოგადოების გაფიცული მუშები და კანტორის მოსამსახურეები ვითომც შეთანხმებულან, გაფიცვა შეუწყვეტიათ დამუშაობას შედგომიანო. მაგრამ ეს ამბავი ტყუილია: მუშაობა დაიწყეს მხოლოთ მუშებმა, ხოლო კანტორის მოსამსახურეები ისევ გაფიცულები არიან და ბოიკოტსაც განაგრძობენ.

— რედაქციამ მიიღო შემდეგი გამოცემა:

1) მ. კოვალევსკი: **ოჯახისა და საკუთრების წარმოვობა-განვითარება.** წიგ. I. დედათ-მთავრული ოჯახი და პირველყოფილი კომუნიზმი. თარგმანი **რ. კალაძისა.** ბათუმი, გამ. სპ. ჰელიძისა, ფასი ერთი აბაზი.

2) მიუფევი. **თანამედროვე ქვეყნიერების მოწინავე კუთხე.** თარგ. **ნ. ალნიაშვილისა.** თფილისი. ფასი სამ აბაზი.

3) ე. თაყაიშვილი. *Археологическія Экскурсіи*, разысканія и замѣтки. Вып. I. Тифл.,

დაბა-სოფლის ამბები

გორი. ამ უკანასკნელ კვირის განმავლობაში ისეთი დღე არ ყოფილა, რომ ვისმესთვის რევოლვერი არ ესროლათ.

პირველათ ესროლეს ვიღაც ბუჯანაშვილს, რომელსაც თუმცა ვერ მოახვედრეს, მაგრამ ისე შეაშინეს, რომ პირიდან სისხლი უდენიანებია და დროებით ჩავარდნილა. მეორეთ დაჭრეს ჯაშუში დომენტი. მესამე სადამას ესროლეს ქალაქის არხიტექტორს, (ერთ დროს „უპრავშიაც“ მსახურებდა) სამის, და სასიკვდილოთ დაჭრეს. ამ კაცს უველა საშინლათ ძაგებს.

მეოთხეთ დაჭრეს ისე „გოროდოვოი“ ამბობენ ესროლეს უანდარ სუსიკალოვსაცა (რომელიც ამ ერთა თვის წინათ ხელში დაჭრეს) მაგრამ ვერ მოახვედრეს. ოვითონ სალხმა ქალაქ სტემა ორ „ხულიგანს“ (ეს უკანასკნელები ამ ბოლო დროს გორსაც ეწვივნენ.) მაშთა ერთისთვის ტყვიაც მიურტყამთ, მაგრამ ვერ მოუკლავთ; ამ ჩამოთვლილ დაჭრილებს მსროლელნი ვერც ერთი ვერ დაუჭერიათ. გორის მშვიდი ბურჟუები საშინლათ დაშინდნენ ამ ამბებით და დღავენ.

ამბობენ აქაური ბრისტავი ბერძემოვლოვი სამსახურიდან დათხოვნიათო, თუმცა ეს ძლიერ საეჭვო უნდა იყოს. ასე თუ ისე ხსენებული პირი ეს ერთი თვეა სახლიდან გარეთ არ გამოდის. ხმა დადის უკანასკნელმა ამბებმა ისე დააშინეს, რომ ავათ გახდაო.

გორელი.

—

ქ. თელავი. 27 თებერვალმა დაიწყო აქ საერთო გაფიცვა, რომელიც გაგრძელდა სამ დღეს, ე. ი. 30-დის, ამ ხნის განმავლობაში შეწყვეტილი იყო ყოველგვარი ვაჭრობა და მეშაობა სახელოსნოებში, ბარეშუმის სახვევ ქარხნებში, სტამბაში, ხომხის სახელოსნოში დაიკეტა მაღაზიები, საყანდალტერიები, სახელოსნოები, დუქნები. საყასბოში ხორცს ვეღარ ნახავდით თვალით და მოელანზედაც—ყვირაიოარ სანოვაგეს. ფურნეებში ცხვებოდა მხოლოთ შავი პური, შეწყდა აგრეთვე მეეტლეებისა მეშაობაც. ქალაქს გარეთ მოხდა რამდენჯერმე აგიტაცია—ათას სულზე მეტის თანდასწრებით. წესიერება არვისგან დარღვეულა არც ერთხელ.

28 და 29 აქაურ სატუსაღოში არეულობა იყო. ტუსაღები ცოდვის საქმეის უგარეგანობას, მოითხოვენ მისი გაუნჯობესება სასუფთავის მხრივ რადგან საქმეში ბევრჯერ უჭამიათ მატლები. უფროსები დაპირდნენ ტუსაღების თხოვნის დაკმაყოფილებას, მანამდის კი ცდილობდნენ გამოწვეულ ჯარით მათ ჩახშობას.

ერთი ახალგაზდა ტუსაღი, რომელიც არეულობის მოთავეთ ითვლებოდა,—გაანთავისუფლეს სრულიად.

ხსენებული ახალგაზდა გლეხი სამ თვეზე მეტი იქნება, რაც დაჭრილი იყო. მას პირველებმა ს. წინანდალში ხემწიფის სურათის დახევას.

მეოცე საუკუნე.

—

სოფ. ჩოჩხათი. (გურია). 19 გასულ მაისს სოფ. ჩოჩხათში შეკვლეობა მოხდა. ამ დღეს დილით რკინის გზის დარაჯმა რკინის გზის დიანდაგზე ნახა მოკლული კაცის გვამი. ბოროტ გამძრახველთ მოეტანათ უკვე მოკლული გვამი და დიანდაგზე დაედოთ ამ განზრახვით, რომ მატარებელი გასრესდა მოკლულს და ამნაირათ ბოროტების კვალი დაეკარგოდა. მოკლულს ტანზე აღმოაჩნდა 20

ჭრილობა დანით. უწყვი მიტანეს მოკლულის მეუღლეზე, რომელთანაც დიდი ხანია შუღლი და უკმაყოფილება ჰქონდა. მეორე დღესვე მოვიდნენ ადგილობრივი ხრისტავი და გამომძიებელი, გამოიძიეს, მარა მკვლელი ვერ აღმოაჩინეს, (ალბათ საკმაო დასმტკიცებელ საბუთების უქონლობის გამო). ამავე საღამოს მეორე დღესვე ჩოჩხათის სახოგადოების ქონდა კრება, რომელზეც გამოიძია ეს საქმე და აღმოაჩინა მკვლელები. ესენი არიან მოკლული სიმონის ცოლი და მისი ორი შვილი (ბიჭვილი ქმრიდან). ქალს გადაუწყვიტეს საუკუნო ბოიკოტი, უნდა იცხოვროს თვით ამ სახლში, სადაც მკვლელობა მოხდა; არავის არ აქვს ნება მასთან რაიმე საქმე იქონიოს. ხოლო ორ მის შვილებს გადაუწყვიტეს ხუთი წლით გადასახლება სხვა მაზრაში.

სტეფანე.

—

სოფ. გადიდი (ქუთ. მაზრა). 19 ივნისს მოხდა კრება, რომელსაც დასწრო ორასამდე ქალი და კაცი. კრებამ ფიცი დადო, რომ ერთმანეთს არაფერში არ გულადატოო. შემდეგ შეუდგენ ქურდების ამოჩენას, და მართლაც რამდენიმე ამოაჩინეს. ჯერჯერობით მხედველობა ერთს დაუმტკიცეს, რომელსაც მოეპარა სამინდი თავის მეზობლისათვის. კრებამ ქურდი იქნეს ეკლესიის მახლობლად ძველ შენობაში დასტუსაღ ერთი საათის ვადით და შემდეგ კი სხვა სასჯელი უნდა გადაეწყვიტათ, მაგრამ ქურდმა ხატიების ითხოვა, კრებამ შეიწყნარა და განთავისუფლა იმ პირობით, რომ შემდეგ ადარ ჩადინოს ასეთი საქმე. 7 კაცს ბოიკოტი გამოუცხადა (ამათში ზოგს ჯაშუშობას ებრალებენ და ზოგს სერთო საქმის უყურადღებობას). ამათში 6 კრებას დათმობა თხოვა და კრებამაც შეიწყნარა ამათი თხოვნა, რისთვისაც დიდი მადლობა გადაუხადეს კრებას. იმათ შეშვიდე ამხანაგს კი ერთი თვით ბოიკოტი გადაუწყვიტეს.

ივანე გადიდელი.

—

ქვემო რაჭა. მიწელ ქართველებში ისეთი შრომის მოყვარე, აუჩქარებელი და მომთმენი არავინ არ არის, როგორც რაჭველი კაცი. მიუხედავად ამისა, ახლანდ სიმო აქაც დაჭირა და მძიმე, მომთმენი, უკეთურეს გაჭირვებაში მყოფი რაჭველებიც სახოგადო ფერხულში ჩაება. ქვემო რაჭაში პირველი აპრილიდან დაწყებული ველა სოფლებში კრებებს მართავენ და თავის ჭირვარამზე საუბრობენ. ხატარა ორის სახოგადოების სოფლებში რამდენიმე კრების მოხდენის შემდეგ აირჩიეს ათის თავები, ფიცი დასდგეს შესწუვიტონ ადმინისტრაციასთან ყოველი კავშირი და თავისი საქმე არჩეული სანდო კაცების ხელშეწყობით გაარჩიონ, არ მისცენ არც დრამის ფული და არც სახელმწიფო ჯარა. „ან კი რაი გადავიხადოთ, როდესაც თავიდან ფეხებამდის შიშველნი ვართ და ტიტველი კაცი გერაფერაი დაგვითვარგსო“, გაიძახიან ისინი. კრებებიდან აძევებდენ ისეთ პირებს რომელთა ხშირ სტუმრობს ხრისტავი, მამასახლისი და სხვა მთავრობის მოხელეები შეადგენდენ.

პირველი დრმა მიზეზი, რომელმაც რაჭველები ააღელვა თავის გაჭირვებაზე და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის გადაადგმია თავი, ეკონომიურია. ჯერ ერთი რაჭაში ადგილის ისეთი სიავიწროა, როგორსაც სქართველოში სხვაგან ვერსად შეხვდებით და ამასთანავე მიწაც მწირი და უნაყოფოა. ხერი სრულად მოიხმო, დვინის მოსავალი კი სიმცირის უკანასკნელ წერტილამდის მიაყვანა ვაზის ავათმყოფობამ. ასე რომ მთელს რაჭაში უმრავლესობას თუ ნახევარი წლის სარჩო მოუვიდა, აუწერელი შრომის შემდეგ რასაკვირველია კარგი უნდა.

ეკონომიურ დაქვეითებასთან ერთად გადასახადები მატულობდენ და მთავრობის მოხელეები განსაკუთრებით თვგვამდებულ ერთგულობას იჩენდენ გადასახადის მოკრეფის დროს. მე ხშირად მინახავს ხალიცელებს, სხვა ნივთები რომ ვერ ასწვდა გადასახადს, ქალის იუბკაც კი წაურთმევიათ სატიდავი გლეხისთვის.

ამ ზომამდის გადატკეპნილი რაჭველები მთავრობის მოქმედების ადვილ წახსნილმა მოქმედებამ, მოთმინებიდან გამოიყვანა. თუ რამდენათ უსამართლოთ და დაუზოგავათ ეპყრობიან ეს მშრომელები ხალხს, ნათლად შეუძლია დაინახოს კაცს ერთ ამ უბედურ მაგალითებიდან, რომელსაც ცხადად გავიცნობ კმაოსვილს და რომლის მოწამე მე თითონ ვარ და სხვა ბევრი ჩემისთანა. ქვირშანწინ მოვიდა მამასახლისი სტრატით სოფელ ქვედა-შავრეში, მოუარა „ურჩ“ გლეხებს თავი და გამოუცხადა: ეხლანდე გადასახადის ფული მოიტანეთ, თორემ ხომ ხედავთ იმ „წითელ ჩინებიანს“—„მეოთხეთა სტრატნიკებზე“—ჯერ ჩვენ წაგართმევთ უველაფერს, გტეხთ და ბრისტავი ვარეს დღეს დაგაყენებსთო. ამ თხოვნა-წერამ მართახის დაბერებაში შუა დღემდე მოატანა.—„ხომ ხედავთ შენ დღეა: თქვენი გულისთვის ჩამოველით აქ და აწი სადილი გვინდა“. უთხრა მამასახლისმა გლეხებს. „მე დობილომ გამიხშო უფლი და რაღაც ხორიოდე ქათამი მყავს ისინი კი ამათ უნდა შეჭამოს“, წაბუტბუტეს სწუალმა გლეხებმა და წავიდ-წამოვიდნენ ბრძანების სასრულეში მოსაყვანათ. სადამოს დამთვრალი მამასახლისი და მისი ამხანაგები ეტარა-ხანისაკენ. გლეხებს კი დაუბარეს; თუ წითელ ჩინებიანები არ გინდათ, ჯერეს მოგვლთ და ფული მზათ დაგვახვედრეთო. ამ გვარათ სწუალი გლეხები ან ამ მოხელეების ძღომას ვერ უვიდენ და ან გადასახადს. მას შემდეგ, რაც ხატარა ორის სასოფლო სასამართლო დასწვეს, უველა ასე გაიძახის: „ხატარა აქამდის დამწვარიეო ჩვენი სასამართლო, ის „უოველი უსამართლობის ბუდე. თუ ასე მშვიდობიანათ და ძმურათ ვიცხოვრებდითო“. ახალი სასამართლოს აშენების შესახებ ვარი უთხრეს ამ დღეებში აქ მოსულ მაზრის უფროსს.

ამ სწორეთ ასეთმა აუტანელმა პირობებმა აამოძრავა მძიმე რაჭველებიც და რა ხან კი გაინძრენ, მათი დამშვიდება არ შეიძლება, სანამ უველა სამართლიან მოთხოვნილებებს არ დაუკმაყოფილებენ. რაჭველების მოთმინებიდან გამოსვლა იმას ნიშნავს, რომ მეტი მოთმენა უოვლად შეუძლებელია და ძირიანათ უნდა შეიცვალოს ის პირობები, რომლებმაც ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო ეს ხალხი.

კოტე ფარეიშვილი.

რუსეთის ქრონიკა

ბელოსტოკიდან ცუდი ამბები მოდის. სახოგადო გათიცვა სერიოზული არეულობით დასრულდა. გამოწვეულ იქმნა ჯარი; დაჭრილი და მოკლული ბევრია. ამბობენ, რამდენსამე ადგილს ბომბები გაუსროლიათ; ქალაქში ბევრგან თოფის სროლაა. მცხოვრებნი თავიანთ ბარდატემული არიან, ქუჩაში გამოსვლას ვერ ბედავენ. ქალაქიდან ბევრი წავიდ-წამოვიდა.

— ივანოვო-ვოზნესენსკი. 21 ივნისს მეორეთ ცუდ დღეში ჩავარდა. სახოგადო ორგანიზაცია ცვლილება არაა.

ფაბრიკის ხატრონებმა მუშებს ტოტალური დაუთმეს, მეტის დათმობას ადარ პირობენ. მუშები კი ამ პირობებით არ კმაყოფილდებიან და მუშაობას არ პირობენ. ორივ მხარე პირველ თავიანთ გადაწყვეტილებას მაგრათ ადგიან. შესაძლოა მუშებში მშვიდობიანობა ჩამოვარდეს და გათიცვის მოსასპობათ აგიტატია გასწიონ. გუშინ, მაგალითათ, 20 ივნისს, გათიცულები ორ პირათ გაიყვნენ: ერთნი, გათიცვის მომხრენი, წინანდებურათ ტალკაზე შეიკრიბენ, მეორენი კი, მოწინააღმდეგენი—ირმუკის მოედანზე. ტალკაზე შეკრებილნი ირმუკის მოედანზე „გამოთიშულებთან“ მივიდენ და მგზნებარე სიტყვებით დარწმუნეს ისინი, რომ გათიცვა კვლავ განეგრძოთ. შემდეგ 25,000-მდე კაცი ისევ ტალკაზე შეიკრიბა და ხმის უმეტესობით გადაწყვიტა გათიცვის გაგრძობა. გუშინდელი ინტიდენტის გამოძიების შემდეგ ადმოჩნდა, რომ განზეთქილება მუშებში კი არ დაწყებულა, არამედ ხელოსნებში, რომელთაც ფაბრი-

კაში კარი ადგილები უკვეთათ და ამიტომ კათოლიკეს თავიანთის სასარგებლოთ ვერა ხმობენ.

მდ. ტალკაზე კრების შემდეგ კათოლიკენი ფაბრიკაში მიდიოდენ და კათოლიკის დროის ხვედრი ჯამაგირი მოითხოვეს.

ამ მოთხოვნაზე თითქმის ოთხასამდენ უარი უთხრეს. მიზეზათ ამას ასახელებენ, რომ ფაბრიკების პატრონები ქალაქიდან წავიდენო; მოლაპარაკებამ მეტათ მწვავე ხასიათი მიიღო. ამავე სალამოს ქალაქში გაჩერეს გლადიმირსკის გუბერნატორის შემდეგი განცხადება: ,,ჩემამდე მოვიდა ცნობა, რომ 21 ივნისს ფაბრიკების პატრონებთან და მათ მოურავებთან მოლაპარაკების დროს მუშებს მეტათ უკმეხი სახით წამოუყენებიათ თავიანთი მოთხოვნები, დამუქრებიან კიდეც, თუ ამ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ. ქალაქში მუდრობებისა და წესიერების დაცვის, კერძო პირთა პირადობისა და ქონების ხელუხლებლობის აუცილებლობის გამო, ვიწყებ მუშებს ფაბრიკების მართველებთან მოლაპარაკების დროს დაიცვან სრული წესიერება, ერიდონ უკმეხ ქცევას და მუქარას, უმეტესათ ნება არ მისცენ თავიანთ თავს და არც თავის ამხანაგებს ძალ-მომრეობა იხმარონ, რის წინააღმდეგ მიღებულ იქნება ზომები და დამნაშავენი კანონისამებრ პასუხის გებაში მიეცემიან. გუბერნატორი უმაღლესი კარის გენერ-მაიორი ი. დეონტიევი. 21 ივნისს, 1905 წ.

22 ივნისს მდ. ტალკაზე კრების შემდეგ ისევ მივიდენ თავიანთ ფაბრიკებში და უწინდელათ მოითხოვეს კათოლიკის დროის ხვედრი ჯამაგირი.

— ამ დღეებში მოსკოვის ნაფიც ვექილებმა და მათმა თანაშემწეებმა, რომელნიც ეკუთვნიან ვექილთა კავშირს, პეტერბურგის ყანდარმთა სამართველოში შემდეგი შინაარსის თხოვნა გაგზავნეს, თვითოეულმა ცალ-ცალკე:

,,პეტერბურგის გუბერნიის ყანდარმთა სამართველოს სრულიათ რუსეთის ვექილთა კავშირის საქმის გამო მოსკოვის სამოსამართლო ოლქის ნაფიცი ვექილის (ან ნაფიცი ვექილის თანაშემწის) ამა და ამის (სახელი, მამის სახელი, გვარი და სრული ადრესი) განცხადება. რადგანაც სისხლ. სამ. დებულ. 126 სტ. ძალით მ. ვ. პერენშტამი და მ. მ. ვინავერი პასუხის გებაში იქნენ მიცემულნი ვექილთა კავშირში მონაწილეობის გამო, ვცხადებ, რომ მეც მონაწილე ვარ ვექილთა კავშირის და, თუ ამ კავშირში მონაწილეობა 126 სტ. ძალით დანაშაულათ ითვლება, ზემოხსენებულ პირებთან ერთათ მეც დამნაშავე ვარ და მათთან ერთათ თანასწორათ პასუხის მგებელი‘‘.

— უკანასკნელ წლის განმავლობაში ხოლონეთის მეტათ გაძლიერდა სარეფორმაციო პარტიების მოქმედება, რაც გამოიხატა თითქმის შეუწყვეტელ კათოლიკეებითა და ადმინისტრაციასთან შეტაკების გაძლიერებით. სარეფორმაციო მოძრაობა მეტის-მეტათ გამწვავდა ხოლონის დროს ქალაქ დოძში. სადაც 8 ივნისიდან 12-მდე შემდეგი ამბები მოხდა:

ივნისის პირველ რიცხვებიდანვე დაიწყო საერთო კათოლიკეს ფაბრიკებსა და ქარხნებში; შემდეგ უველა მაღაზიებიც დაიკეტა. სროლა პირველათ სრედნი ქუჩაზე დაიწყო, სადაც რევოლვერით უაზახი იქმნა მოკლული; შემდეგ თავს დაეცენ ხოლიტიელს გაღრაკს, რომელიც 40 ადგილს იქმნა დაჭრილი და ნახევარ საათის შემდეგ გარდაიცვალა. ქალაქში ყოველი მოძრაობა შესწყდა. მანიფესტანტები ამტვრევდენ ქუჩის ფარნებს, ტელეგრაფის ბოძებს და აშენებდენ ბარიკადებს. სალამოს ცხრა ნახევარ საათზე ცეცხლი წაუკიდეს ვსხადნაია ქუჩაზე მაგარ სასმელების სახახაინო დუქანს და დასწვეს იგი სრულიად მეორე დღეს დილიდან უწესრიგება ისევ დაიწყო. მანიფესტანტებმა ბევრ ადგილას ადმირთეს ბარიკადები ურმებისგან, ეტლებისგან და ბოჩქებისგან. არც ერთს ქარხანა-ფაბრიკაზე მუშაობა ადარ დაუწეიათ; მუშებსა და ჯარებს შორის აქა-იქ ბრძოლა მოხდა. მრავალი დაჭრილი და მოკლული იქმნა. მარტო ამ დღეს აივსო სააგათმეოთოები. ხოზნისკების საავათმეოთოში 80 მეტი დაჭრილი მიიეგზავნეს. წითელი ჯვრისა და წმ. ალექსანდრეს საავათმეოთოებში დაჭრილთ კორიდორებში და იატაკზე აწვენდენ, რადგან ადგილი ადარ იყო. „სწრაფ დახმარების“ სახოგადოების ექიმებმა ქუჩებზე 161 კაცს შეუხვიეს ჭრილობა, 11 ადგილს—დოძში მოკვდა 5 პოლკი ჯარი ასე რომ სულ შეიქნა 6 პოლკი ქვეითა ჯარისა და ოთხიც—ცხენოსანთა. 7 საათზე რამდენიმე ათას კაცისაგან შემდგარი ბრბოსია გაემართა ებრაელთა სასაფლაოსაკენ ორის მოკლულის მუშის დასამარხავათ. მანიფესტანტებს წითელი და შავი დროშები მიეჭონდათ; მღეროდენ სარევოლიუციო სიმღერებს. ხალხი თან და თან ემატებოდა და ბოლოს ბრბოსიაში 10 ათასზე მეტი მიდიოდა. უმთავრეს ქუჩაზე ხალხს შეტაკება მოუხდა ჯართან; უკანასკნელმა საშინელი სროლა ასტეხა, ხალხს შიში ზარი დასცა და გაფანტა; მრავალი იქმნა მოკლული და დაჭრილი. ქალაქიდან მრავალი ხალხი ეხიზნება. ყოველდ შეუძლებელია ჯერ შესდგეს სიები დაჭრილთა და მოკლულთა; უმრავლესობას ებრაელები შეადგენენ. ქუჩებში ჯარები დადიან და თოფებს ესვრიან, თუ სადმე ბრბო დაინახეს; ესვრიან აგრეთვე სახლების აივნებზე, რადგან იქიდგან რევოლვერების სროლა იყო. უმთავრესი შეტაკება 10 ივნისს მოხდა, როცა ბრძოლაში 60 ათასამდე შეიარაღებული მუშა და 6 პოლკი ჯარი იღებდა მონაწილეობას. მუშებმა სხვა და სხვა ადგას 20 ბარიკადა აგეს, რომელიც ჯარებმა იერიშით აიღეს. ბევრი სახლი მუშებმა ციხეებათ აქციეს, საიდანაც ჯარებს თოფებს ესროდენ და თავზე მდუღარეს ასხამდენ. ასეთი სახლები ჯარს იერიშით უნდა აეღო. ზოგიერთ ადგას მუშები მიდიოდენ იერიშით ჯარებზე და ამ დროს უუმბარებსაც-კი ხმარობდენ. ერთ ადგილას უუმბარებით მოკლულ იქმნა 4 უაზახი და 21 ცხენი, ხოლო დაჭრილ იქნა 16 უაზახი. სროლა 11-ში დილასაც არ შეწყვეტილა. სანოვაგეც ადარ არის და შიმშილობაც იწყება. 10, 11 და 12 ივნისს მრავალი ტრაგიკული სცენა მოხდა; უოველივე ამტკიცებს, რომ ორივე მხარე მეტათ გაშხეცებულია. როგორც ამბობენ, მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 2000-მდეა. ჯარშიაც არიან მოკლულნი. ერთგან 6 პოლიცრი და რამდენიმე დრაგუნი მოკლეს. ერთი პოლიცრი ახალგაზდა ქალმა მოკლა რევოლვერით. მოძრაობის და ბრძოლის მეთაურნი წითელის უკლასხვევით განიარაღებენ დანარჩენებისაგან. ესენი ეკუთვნიან ხოლონეთის სოციალისტთა პარტიას და ებრაელების „ბუნდ“-ს.

— 13 ივნისს ვარშავის თითქმის უველა ქარხანაში გაფიცვა იყო. ეს საერთო გაფიცვა, როგორც ამბობენ, გამოწვეულია დოძში მომხდარ არეულობის გამო. ბევრი მაღაზია დაიკეტა და ადგილობრივ ტრამვაის მუშაობა შეჩერებულია. დეშკოვის ქუჩაზე ტრამვაის ერთი ვაგონი გადაბრუნეს. ქალაქში ახალი ბური ადარ იშოვება. ვნოინის ქუჩაზე ბრბომ თოფის სროლა დაუწყო პატრულს, რომელმაც ერთი ებრაელი მოკლა. კრახმალისა და ვარშავიანის ქუჩები ხუთ ადგას ხარიხობით შეკრეს, მაგრამ სალდათებმა აშალეს, რადგანაც მანიფესტანტები გაიფანტენ. ხალხი მეტათ აღშფოთებულია. მუშები ჯგუფ ჯგუფათ გროვდებიან. ქალაქში ვრცელდებენ სოციალ-დემოკრატიის პარტიების პროკლამაციებს, რომლითაც იწვევენ ხალხს დემონსტრაციისთვის. ერთ ქუჩაზე ეუმბარა გაისროლეს და დაჭრეს ორი ჟანდარმი და რამდენიმე კაცი, შემთხვევით მომავალი. 21 კაცი დაიჭირეს. ეუმბარის გადამგდები კი მიიმალა. ადგილობრივი გაზეთები უარეოფენ ამ ხმას, ვითომც ათეთქების დროს 51 კაცი დაშავებულიყოს და სწერენ, რომ ხულ ორა-სამი კაცი დაშავდაო.

— ქ. ჩერნიგოვში ერთმანეთ შორის მოლაპარაკების შემდეგ ქალაქის საბჭომ ერთხმათ დაადგინა: 1) შუამდგომლობა აღძრან გუბერნატორის წინაშე, დაუყოვნებლივ გაიყვანონ ქალაქიდან ეაზახები, 2) მოახსენონ შინაგან საქმეთა მინისტრს ჩერნიგოვის ხოლიციისა და ეაზახების საქციელი; 3) შუამდგომლობა აღძრან მშვიდობიან მოქალაქეთა დასაცავათ და პირადობისა და ქონების ხელ-

შეუხებლობისათვის ნება მიეცეს შეადგინოს ქალაქის მიდიცია, ხოლო მიდიციისათვის წესების შესამუშავებლ ათარჩეულ იქმნას სმოსახთაგან კომისია.

— სამფერაზოდის ახალ გუბერნატორს გენერალ ვოლკოვს, როგორც „Кр. В.“ ადნიშნავს, სავრძნობლათ შეუსუსტებია გაძლიერებულ დაცვის წესები.

ახლა გაუქმებულია წესი, რომლის ძალითაც იარადის ტარების ნება უნდა გამოთხოვნილ იქმნას, ხოლიციისაგან გერბის მარკებ დაკრული არძით; უველა, ვინც იარადს ატარებს, ვალდებულია გამოეცხადოს ხოლიციას და ამის შესახებ მხოლოთ სიტყვიერათ განუცხადოს. გაძლიერებულ დაცვის წესების დარღვევისათვის შედგენილ ოქმებს ამ დროიდან ადმისტრატიული წესით ადარ განიხილავენ და გუბერნატორს მეტათ მიახჩნია ისარგებლოს 500 მანეთამდე ჯარიმების, ან სამ თვემდე დატუსვების მის დამი მინიჭებულ უფლებით; უველა ამ გვარი ოქმები გადაეცემა ქალაქის მსაჯულებს. გაძლიერებულ დაცვის წესების დარღვევისათვის წინათ ადრული სქმეები (გუბერნატორის მოსვლამდის) რომლის გამო ზოგნი საპყრობილეში ახლაც სხედან, გაუქმდეს.

— როგორც გაზ. „Рус. В.“ ატყობინებენ ივანოვო-ვოზნესენსკის მუშათა გაფიცვა ბოლოვდება. თუმცა მუშების უველა მოთხოვნილებანი არ დაუკმაყოფილებიათ, მაგრამ ამ პირობებში ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი დარჩა. 27 ივნისის კრებაზე მუშებმა ერთხმათ დაადგინეს გაფიცვის შეწყვეტა.

მუშაობას შეუდგებიან გაფიცვის დაწყებიდან მეორმოცდა ათე დღეს ე. ი. პირველ ივლისს. მუშაობის დაწყებამდე მუშები თავს მოიყრიან მდინარე ტალკას ნაპირზე. აქ დაიყოფებიან ჯგუფებათ ტალკე ფაბრიკის მუშები და წავლენ თავიანთ ძველ ადგილებში. სანამ მუშაობას დაიწყებდენ ფაბრიკანტებს გამოუცხადებენ: რომ იწყებენ მუშაობას, მარა თავს დამარცხებულათ არა სთვლიან. როცა ეს მათთვის შესაძლებელი იქნება ისინი კვლავ მიატოვებენ ფაბრიკებს და მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებელ მუხლებს ხელ-ახლა წამოაყენებენ. ამისათვის მუშები ურჩევენ ფაბრიკანტებს მოსპონ ეს უკანასკნელი მიზეზიც განხეთქილებისა.

— გაზეთების სიტყვით ამ ჯარებში, რომლებიც შავი ზღვის განაპირა ადგილებში დგანან, დიდი აღელვება სუფევს. (Н.).

უცხოეთის ქრონიკა.

გერმანია. 1874 წლის არჩევნებზე სოციალ-დემოკრატებმა წინა წლებზე სამჯერ მეტი ხმა მიიღეს. ამ გარემოებამ კიდევ უფრო დააფრთხო, ისეც საკმაოთ შეფიქრიანებული, გერმანიის „კეთილი“ ბურჟუაზია. მან, თითქოს ერთი კაცი ყოფილიყოს, ერთხმათ დაიწყო წუწუნი და გოდება; „დროა მთავრობამ ხმა ჩაუწყვიტოს «თავხედს და მავნე პარტიას», რომელსაც მიზნათ ჩვენი «პატიოსანი შრომით» ნაშოვნი ფულის და ქონების ხელში ჩაგდება გაუხდიაო». ასე აჰიკჰიკდა მაშინ ბურჟუაზია, ხოლო ბურჟუაზიის სურვილს, რასაკვირველია, დაუკმაყოფილებდა მისი აღმასრულებელი კომიტეტი ანუ მთავრობა. და მთავრობამ გამოსცა კანონი «სოციალ-დემოკრატების მავნე ლტოლვილებათა» წინააღმდეგ. ამ კანონის ძალით დახურეს და აკრძალეს უველა სოც.-დემოკრატიული გაზეთები, კრებები, კავშირები, და ლიტერატურული თხზულებები. ამას გარდა გამოაცხადეს აღმინისტრაციისთვის „საშიშ“ პირების გერმანიიდან გაძევების უფლებები.

ამ კანონის ძალით გააძევეს გერმანიიდან 1000 კაცამდე, ბევრი ციხეშიც დაამწყვდიეს. «ისხდენ» ორი წლის განმავლობაში პარტიის ბელადებიც: ბებელი და ლიბკნეხტი.

მარა სოციალ-დემოკრატიული პარტია ვრც ისე სუსტი იყო, რომ ასეთი ზომებით მისი მოსპობა შეძლებულიყო. პარტიის მოთავეები შვეიცარიაში გადასახლდენ და იქიდან გზავნიდენ გერმანიაში აკრძალულ ლიტერატურას და თავიანთ ორგანოს, რომელსაც სახელათ „სოციალ-დემოკრატი“ ერქვა. არჩევნების დროს თითქმის იმდენივე ხმა მოდიოდა სოციალ-დემოკრატის, რამდენიც უწინ. 1890 წ. გააუქმეს ზემოხსენებული სასტიკი კანონი სოც.-დემოკრატების შესახებ, მარა მაგიერში მუშებს უწინდებურათ შეზღუდული ქონდათ რეიხსტაგში არჩევნების უფლება. როცა ზემოხსენებული კანონი ძალაში იყო, ყოველ წლივ შეკრება შეუძლებელი გახდა და კრებები მხოლოთ ოთხ წელიწადში ერთხელ ხდებოდა(1880, 1883, 1887 წწ.) ამავე დროს ბისმარკმა მუშათა მოძრაობის ჩასაცხრობათ „სახელმწიფო სოციალიზმს» მიჰყო ხელი. მან დააარსა მრავალი მუშათა კავშირები და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მუშები მოეგროვებია ამ კავშირებში. თავის აგენტების საშუალებით, ბისმარკი ცდილობდა ჩაეგონებია მუშებისათვის, რომ მათ, თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ პოლიტიკური წყობილების შეცვლა სრულიადაც არ სჭირიათ, და ურჩევდა მხოლოთ ეკონომიური მოთხოვნილებები წარედგინათ ხოლმე, მაგ. ქირის მომატება, სამუშაო დღის შემცირება და სხვ. ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას მუშები უნდა ეცადნენ მექარხნეებთან მშვიდობიანი მოლაპარაკებით და არა გაფიცვებით.

ამ კავშირებმა რა თქმა უნდა, ვერაფერი გასავალი იშოვეს. ძალიან ცოტა მუშები შედიოდენ ბისმარკის კავშირებში და ვინც შედიოდა, იგიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გადადიოდა ცოტა ხანს მერე. კავშირები დაიხურა. სოციალ-დემოკრატებს კი, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მეტი ხმა მოდიოდათ არჩევნებზე. შემდეგი რცხილი ნათლათ გვაჩვენებს როგორი სისწრაფით ემატებოდა ხმები ს.—დ—ტებს.

წლები	რამდენი ხმა იყო საზოგადოთ არჩევნებზე.	რა პროცენტი უწევდა სოც-დ-ტებს ყველა ხ-ბში	სოციალ-დემოკრატ-დეპუტატთა რიცხვი.
1871	113.000	2,9	2
1874	351.000	6,7	10
1877	493.000	9,1	13
1878	436,000	7,5	9
1881	311,000	6,1	13
1884	549,000	6,7	24
1887	763,000	10,1	11
1893	1.786,000	23,2	44
1898	2.107,000	27,1	56
1903	3.000,000.	32,7	81.

რეიხსტაგში სულ—397 დეპუტატია. მკითხველმა, ალბათ, მიაქცია ყურადღება იმ ახირებულ გარემოებას, რომელიც ზემოთ მოყვანილ ცხრილში იმ პროცენტების მიხედვით, რომ სოც-დ-ებს უწევს, სოციალ-დემოკრატ-დეპუტატთა რიცხვით უნდა იყოს რეიხსტაგში: მაგ., 1903 წ. სოც.-დ-ტების ხმა შეადგენდა ყველა ხმების მესამედს (32,7%), მაშასადამე მათი დეპუტატებიც მესამედს ღრმა შეადგენდეს და არა მეხუთედს, როგორც ნაჩვენებია (81). ასეთი შეუფერებლობა იმით აიხსნება, რომ საარჩევნო ოლქები მეტათ გამოუსადეგრათაა დაყოფილი პროლეტარიატისთვის, ასე რომ მილიონ ნახევარ სოციალ-დემოკრატთა ხმა სრულიათ უნაყოფოთ იკარგება.

რომელიმე ქალაქის ანუ ოლქის პარტიის წევრები (პარტიის წევრათ ითვლება, ვისაც სწამს პროგრამის ძირითადი პრინცეპები და შეძლების და გვარათ დახმარებას უწევს პარტიას) საჯარო კრებებზე ირჩევენ თავიანთ შორის სარწმუნო პირებს, რომელნიც აგროვებენ საწევრო ფულს (საწევრო

გადასახადი სავალდებულო არაა), იღებენ ლიტერატურას, მართავენ კრებებს და წრეებს, ხელმძღვანელობას უწევენ გაფიცვებს და სხვ. გარდა ამისა თითეული ოლქი სამ-სამ პირს ირჩევს ყოველ წლიურ კრებისათვის, რომელსაც პარტეიტაგი ქვია, უკანასკნელნი ფარული არჩევნებით ირჩევენ 12 კაცს პარტიის სამმართველოსთვის.

პარტიის სამმართველო ცდილობს რაც შეიძლება მჭიდრო ურთიერთობა იქონიოს პროლეტარიატთან, რომლის წარმომადგენელი თითონ არის. ამ მიზნისათვის წარმომადგენლები აცნობენ დეპუტატებს მუშა ხალხის მდგომარეობას, იმ კითხვებს, რომლის წამოყენებაც სასურველია პარლამენტში, მოითხოვენ დეპუტატებისაგან ამა თუ იმ საქციელის ახსნას და სხვ.

ერფურტის პარტეიტაგზე, რომელიც სოციალისტთა წინაალმდეგ გამოცემულ კანონის გაუქმების შემდეგ მოხდა, შეიმუშავეს ფორმულა, რომელიც გამოთქვამს, როგორი განწყობილება უნდა იქონიოს პარტიამ საპარლამენტო მოღვაწეობასთან: „ოფიციალური ტაქტიკა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ამდგომარეობს იმაში, რომ მას შეუძლია მიიღოს საპარლამენტო პარტიების ფორმა, რომლის საშვალებით პარტია ცდილობს სოციალისტური აზრების გავრცელებას. არჩევნებზე პარტია აყენებს თავის კანდიდატებს, გაყავს თავისი დეპუტატები საკანონმდებლო და საზოგადოებრივ ჯგუფებში და აარსებს საპარლამენტო ჯგუფს.

(შემდეგი იქნება).

დრონი იცვალეს ანუ მწარე ფიქრები.

სამი მონოლოგი

II

თავადი.

თავადი—60 წლისა, ტახტზე მოკეცილი ზის, მუხლებზე მუთაქა უდევს და დაფიქრებული ჩიბუხს აბოლებს, მერე მწარეთ ამოიოხრებს და ნაღვლიანათ ამბობს: (აი გიდი!..

„გამოიცვალა დროება,
ჩარხი უკუღმა ტრიალებს!“
დღეს მონა ბრძანებს, ბატონობს,
ბატონი კარ-კარ წიალებს!..

(თავს ჩაიქნევს და მწარეთ ჩაიცინებს)!.. რა დღეს მოვესწარით! სწორეთ ამაზე იტყვიან—„სიბერემდინ სიქაჩლეს მოელოდეო!“ რატო ღმერთი არ გაიკინებს! ჩვენივე გლეხები, ჩვენივე ნაყმევები, რომელთაც ერთ დროს თუ გვინდოდა გავყიდდით, თუ გვინდოდა დავაგირავებდით, რომელნიც გუშინ ჩვენწინ ხმას ვერ იღებდნენ, დღეს დოინჯ-შემოყრილნი დაგვდგომიან და გვიბრძანებენ: ეს საძოვარი და სანახირე ალაგები მოგვეცითო, ტყე უფასო იყვესო, ნაღელები და ნადელების ფული დაგვიბრუნეთო, ღალა დაგვიკელით და თქვენი წილი თქვენვე წაიღეთო, ჩანახი გამოცვალეთო, წყალში ბაჟს აღარ მოგცემთო, ძღვენი და მუშა ხელი მოისპოსო და სხვა კიდევ ათასი ჯანაბა! მიკვირს, რატო ცოლი კი არა გვთხოვეს!—რა, „ტეტიასგან“ გასაოცარია? მაგათ „ერთობა“ ეგრე ესმით! დაწვა-დაბჯგვა, აკლება, დაჩეხვა, აწიოკება... ყველა მოჯამაგირე მიმირეკ-მომირეკეს, კინაღამ მოურავი მომიკლეს, ხუთასი თუმნის ტყე გამიკაფეს და თანაც მემუქრებიან—„ყაზახებს რათ ჩაგვახოცინე და ფასი რათ შემოგვაწერეო!“ ყაზახები კი არა, მამაჩემი ნუ წამიწყდება, სამ პირ ტყავს გაგაძრობთ, სამ პირ ტყავს! ჩემ დანაკლისს ერთიათათ ვინაზღაურებ თქვენ კისრიდან, ერთი-ათათ! მე ნუ მეხუმრებით! ახალგაზდობას სამი კაცი შემომაკვდა და პუშკინ ამფრინანეს! ღვთის მადლით, ჯერ კიდევ ძალა და გავლენა გვაქვს! ჯერ კიდევ არ გამოგვლევია ძველებური ვაჟ-კაცობა! ხო არა გნებავთ, ახლაც მოგიწეროთ ქალაქდი, ქალაქში გავიქცეთ და ბურთი და მოედანი თქვენ დაგიტოვოთ! ასეთი ტალიქ-ტალიქი ვაჟები მყავს „მილიციაში“, რო თქვენცა და თქვენ ამბუტებელ სოციალისტებსაც ტანისამოსიანათ გადაგყლაპამენ! ერთნიცა და მეორენიც ლუკმათ არ ეყოფით, ლუკმათ! თქვენ, მგონი, სიცოცხლე მოგბეზრებიათ! თქვე უსვინდისოებო, თქვე თავზე ხელ-აღებულებო, თქვენა! რაღასაც მიჰქარამთ და ღობე-ყორეს ედებით! ჩამოივლიან და აკლდამასეეფ ხელს არ გაანძრევენ, რო ძველებურათ პატივი სცენ და ქუდი მოუხადონ ბატონსა. (დოინჯს შემოიერის და ჯავრებს) „ერთობააო!“ ბატონობა აღარ არიო! ბატონი მაღლა ღმერთიაო! შენ თავადი რათა ხარ და მე გლეხიო?—ყველანი ადამ და ევას ჩამომავალნი ვართო! მე ვმუშაობ, შენ არაფერს აკეთებო—ჩემზე მეტი რათ უნდა გქონდესო?!“ (გაოცებით) ყურობთ ამ ცინგლიანსა, როგორ ფეხი წამოყო და ხმა ამოიღო?! (მრისხანეთ) არა, შე ვირო, შენა! მთა და ბარი ღმერთმა ვერ გაასწორა და შენისთანა წუპაკმა გლეხმა უნდა ქვეყანა მოარჯულოს? მაშ მე და შენ ერთნი ვართ, ერთი სისხლი გვიდგია ძარღვებში?! ერთნაირი მოთხოვნილება გვაქვს. ერთნაირათ ავიტანთ ჯაფასა, სიცივესა, სიცხესა, სიტიტვლესა, შიმშილსა?! შენ ცალიერ გახიხირიკებულ ჭადით და ბალახ-ბულახითაც მიდიხარ იოლათ, შენ ნაგავშიაც ცხოვრობ, შენ თვეში ერთხელაც არ იცვლი პერანგს, შენ ერთ დროს ძაღლებზედაც გყიდდით, გუთანშიაც გაბამდით, საბალნე ვირივითაც გიმსახურებდით, მაგრამ მე კი, ღვთის მადლით, ყოველთვინ ბატონი ვყოფილვარ და ვიქნები კიდეც! ბატონურათ მიცხოვრია, უკანასკნელი დამიგირავებია—გამიყიდნია და ჩემი ხარისხი კი არ დამიმცირებია, ჩემ სწორ-ამხანაგში კი არ გამოვკლებულვარ! ჯერ სხვა ნურას იტყვი, მარტო ასი წლის „იუბილეის“ გამო შვილების ტანისამოსი ორასი დღის ხოდაბუნათ დამიჯდა! (სიამოვნების დიმილით) კაი დრო კი გავატარეთ აი, კაი ქეიფი გავწიეთ! «პურ-ღვინოო», «ტილიპუპურიო», «ბანკოვსკი ბაღიო», «ზიატსკი ბუფეტიო»... (ტუჩებს აწმაწუნებს) ერთბაშათ შენც არ მოგაქვაო პრაპორჩიკის პაგონი და „ტემლაკი“, შენმა თავის გახეთქამა! სულელი! ტეტია! თავადობა და ქონება, შე უბედურო, ჩვენმა მამა-პაპამ—ღმერთმა აცხონოს ისინი!—ქუჩაში კი არ იპოვეს, მუქთათ კი არ იშოვეს! მეფე-ერეკლეს ერთგულ მონა-მორჩილობით, თავიანთი ჭკუით, მკლავით და სისხლით! შენ სად ეგდე, როცა ისინი ლეკებს ეომებოდნენ?!. თქვენმა ამბუხტებლებმა რატო ეგ კი არ გიამბეს?—ჩვენ სისხლსა სვამენ, შვილო-ნანიასა, და ჰაი, ჰაი, რას გეტყოდნენ! აბა, კაი მათრახები იმათ უნდათ აი! რაღაც «ბაი-ბუი» უსწავლიათ, გამოცვინულან უნივერსეთებიდან, სუნგალა ძაღლებივით სოფელ-სოფელ დაწანწალებენ და გლეხებს ჩასჩიჩინებენ: «მოკალით თავადები! დაწვით! დააწიოკეთ! დაჩეხეთ! ეგენი არიან თქვენი მტრები! აიკელით, წაართვით!—ყველაფერი თქვენია! სოციალისტობაა, დემოკრატიობაა!» (გულში მუშტის კვრით) ო...ოხ! ერთი კი ჩამივარდით ხელში და მე გაჩვენებთ სოციალისტობას! მე გასწავლით «ბუნტი» და «დემოკრატიობა» როგორც უნდა! ნეტა ადამიანები მაინც იყვენ!—ვიღაც დიაკვნისა და ღვდლის შვილები ყრიან! ღმერთი კი არა წამთ, ხატებს კი დასცინიან!—გაუწყრეთ იმათი მადლი! მაგრამ ეგენი რა გავამტყუვნო, როცა თვითონ ჩვენები უარესსა ჩადიან, როცა «ციხე შიგნიდანა ტყდება!» გე-

*) იხილე მოგზ. № 24.

ლოვანი თავადი არ იყო, რო მთელი სვანეთი აიკლო! გაზეთებში ხო განგაში დაჰკრეს! (აჯავრებს) „დიდათ აღელვებულნი და შეშფოთებულნი ძვირფას და დაუვიწყარ შამშე გელოვანის საზიზღარ მკვლელობით, ვუცხადებთ ჩვენ უკიდურეს სიძულვილს ჯალათ გარდაფხაძეებს!“ (დაცინვით) იჰ, კაია, მამა გიცხონდებათ! რაკი თქვენ შეიძულებთ, ერთი სიტყვით, პურს აღარა ჭამენ, ქვეყანა პირ-ქვე დაემხობა! თუ მე მკითხამთ, ცხელ-ცხელი მათრახები ი თვითონ „ლედახტორებს“ უნდათ, რო რაგინდ-არას აქვეყნებენ! (შუქარით) დამაცადეთ, თუ „ნამესტნიკთან“ არ დაგაბეზღოთ და გაზეთი არ ჩაგიკეტვინოთ! ვიღაც ბიჭ-ბუჭები შეყრილან, ქალალდი და მელანი უშოვნიათ და „უპრაგონოთ“ ბეაჯნიან! დღე არ გაივლის, რო ლაფში არ ამოგვსვარონ, მასხარათ არ გაგვაკეთონ! ჩვენ „მილიციას“ პამპულებს და «ხუნხუზებს» ეძახიან! «ვიღაც უსწავლელი თავად-აზნაურები შეკრეფილან, თავით ფეხამდინ შეიარაღებულან, ცხენებზე შესკუპულან და ყაჩაღებივით სოფელ-სოფელ დათარეშობენ გლეხების ასაკლებათაო!» მტყუან რა ვთხრა, რო უნივერსეთ დასრულებულიც ბევრი ურევიან?! რამდენი იმ «უსწავლელ თავად-აზნაურებში» სტუდენტები და ადვოკატებიც ერივნონ, იმდენი დღეგრძელობა მე და ჩემ შვილებს! ისინი თქვენ კი არა გგვანან! იმათ ჯერ არ გამოლევიათ მამა-პაპური თავ მოკვარეობა! იმათ სულ სხვა «პროგრამა» აქვთ! (ბუზზა) რა უნდათ, რას ჩაგვცრებიან, რას მოგვჩემებიან, ნეტა რას გვაგულებენ?! ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, ჩვენ დიდიხანია აღარაფერი გვაბადია! სადღაა უწინდელი დიდება, შეძლება, ფუფუნება? მთელი ჩვენი მამულ-დედული „დვორიანსკი ბანკსა“ და ვიღაც ვაჭრებს დარჩა! წავიდენ და იმათ ედავონ! იმდენი ღმერთმა მე და ჩემ შვილებს გვიშველოს, რამდენი გლეხიც ჩვენზე გაკეთებული იყვეს! აბა, მიბრძანდით და ნახეთ, როგორ იპრანჭებიან იმათი ცოლ-შვილნი! ეს ერთი ხარისხილა შეგვრჩენია და ისიც ნაბადივით გამოგვაცალონ, ხა?! მერე რილას მანქანა ვიქნებით, მერე სადღა გამოვიჩინოთ თავი?! თუ აქ არაფრათ გვაგდებენ, თუ აქ აღარავინ ხარბდება კნიაზობაზე, ე რუსის „კუპჩიხები“ ხო მას-მასათ დაეძებენ და ძვირფასათ ყიდულობენ თავადობას. (ოხვრით) ე...ეხ, სანამ დრო იყო, ჩემი შვილებიც უნდა გამეგზავნა მოსკოვში, მაგრამ რო აღარ დამცალდა, რო ქვეყანა დომხალივით აირ-დაირია! ამბობენ, იქაც დაცემულა კნიაზობაო... რა ვქნა, კაცო, ბოლო აღარა აქვს ამ აყალ-მაყალსა, აღარ უნდა გათავდეს ეს დავა-დარაბა?! რა ვიცი, რაღაც „აუტონომიას“ თხოულობენ, დიდი იმედი აქვთ: მოგვცემენ თუ არა, ქვეყანა დაწყნარდებაო. თქვენ პირ-შაქარი! ნეტა არ იქნება, ისევ ბატონ-ყმობა შემოიღონ!

ნ. აზიანი.

(დასასრული იქნება).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ხომ გაგიგონიათ, რომ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც თავის თვალში დვრესაც ვერ ამჩნევენ, მაშინ როცა სხვის თვალში ბეწვსაც კარგათ ხედვენ. ასეთებია სხვათა შორის, „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტებიც. მკითხველებმა უეჭველათ კარგათ იციან, თუ რა გვარ ზომებს მიმართვენ ხოლმე ეს ვაჟბატონები, როცა „მოგზაურის“ თანამშრომლების დამცირება სურთ, მაგალითისვის საკმარისია გავიხსენოთ ბ-ნ სიტყვას და ვასილ წერეთლის წერილები, სადაც ეს ვაჟბატონები უშვერი სიტყვებით ილანძღებიან და არაფერს არ ზოგვენ ოღონდ კი ჩვენ ტალახში ამოგვსვარონ, და როცა ჩვენ ნამდვილს ფაქტებზე უთითებთ, ისეთ ფაქტებზე, რომლებიც მართლა ახასიათებენ იმათ გონებრივ სიბეცეს და ზნეობრივ დაქვეითებას, მაშინ ისინი გაკივიან, გვიშველეთ, დაგვფარეთ „საზიზღარ და პოლიციურ ზომებისაგან“, რომლებსაც მესამე დასელები ჩვენ წინააღმდეგ ხმარობენო“. ასეთი შთაბეჭდილება მოუხდენია «ცნობის ფურცლის» ნარის წერილს, რომელიც «მოგზაურის“ № 24-ში იყო დასტამბული და რომელშიაც სხვათა შორის აღნიშნული იყო სათავად-აზნაურო სკოლის ერთი მასწავლებლის ყოვლად დასაგმობი საქციელი საზოგადო კრებაზე. იმის მაგივრათ, რომ «ცნობის-ფურცელს» თითონ დაეგმო და გაეკიცხა ეს საქციელი, იგი გამოსულა და ჩვენ გველაპარაკება, აი თქვენ როგორ საზიზღარ და პოლიციურ ზომებს მიმართავთ მოწინააღმდეგეს დასამარცხებლათო! მაგრამ ასეთი ჯამბაზობით თქვენ ფრონს ვერ გახვალთ. უნდა იცოდეთ, რომ საზიზღარი საქციელის მხილებისათვის და დაგმობისათვის მოქალაქეობრივი სიმამაცე და გამბედაობაა საჭირო, ხოლო ცილისწამებას და პორის გავრცელებას მხოლოთ ლაჩარი მიმართავს. ახლა თქვენ მოგმართავთ ბ შემდეგ კითხვაზე პასუხს გთხოვთ: ვინ დაფარა განზრახ სიმართლე ბ-ნ გოგიტიძის საქციელის შესახებ: თქვენ, თუ „მოგზაურის“ რედაქციამ! აქედან კი აშკარა იქნება, თუ ვინ განზრახ ამახინჯებს სიმართლეს და აცრცელებს პორს.

ბურჟუა და პროლეტარი *)

(თარგმანი)

რაც დრო გადის, ბურჟუაზია უფრო და უფრო ლპობს წარმოების საშვალებათა, საკუთრების და მცხოვრებთა დაჭუცმაცებას. მან მჭიდროთ დაასახლა მცხოვრებლები, მოაგროვა წარმოების საშვალებანი, ქონებას კი ადამიანთა მცირე ჯგუფის ხელში მოუყარა თავი. ამ ცვლილებათა აუცილებელი შედეგი იყო ავრეთვე პოლიტიკური ცენტრალიზაცია. დამოუკიდებელი, ერთმანერთთან მხოლოთ ლია შეკავშირებული პროვინციები, რომელთა ინტერესები, კანონები, მთავრობა და ბაჟები გმნსხვავდებოდა ერთი მეორისაგან, ერთ მთავრობას დაუმორჩილდენ, საზოგადო კანონები გამოსცეს, საერთო ბაჟები დაიწესეს, ერთი ნაციონალური კლასობრივი ინტერესებით გაიელვინთენ—ერთ ერათ შეკავშირდენ.

მხოლოთ ასი წელიწადია მას შემდეგ, რაც ბურჟუაზია ბატონობს, და ამ ხნის განმავლობაში მან ბევრათ უფრო მრავალგვარი მძლავრი და დიდებული საწარმოო ძალები შექმნა, ვინემ ყველა მანამდელ მა თაობამ ერთათ. ბუნების ძალთა ადამიანის მიერ დამორჩილება, მანქანები, ქიმიის გამოყენება მეურნეობასა და მრეწველობაში, ორთქლ-მავალის და რკინის გზის გამოგონება, ელექტრონის ტელეგრაფი, ქვეყნის მთელი ნაწილების ექსპლოატაცია, მდინარეების არხებით შეერთება, მთელი ხალხების, თითქო ვიღაც თვალთმაქცის მანქანებით, ქვესკნელიდან ამოცენება, როდის, რომელ საუკუნეში იფიქრებდენ, რომ საზოგადოებრივ შრომაში ასეთი საწარმოო ძალა ინახებოდა.

რა დასკვნამდი მიგვიყვანა ზემოთ ნათქვამმა? წარმოების და აღებ-მიცემობის საშვალებანი, რომელთა ნიადაგზე ბურჟუაზია განვითარდა, ფეოდალურ საზოგადოებაში იყო ჩანერგილი. როდესაც წარმოების და გაცვლა-გამოცვლის საშვალებანი საკმაოთ განვითარდა, ახალ-შობილ საწარმოო ძალასთან ვეღარ მოთავსდა ის პირობები, რომლის მეოხებით ფეოდალური საზოგადოება თავის საქონელს აწარმოებდა და ერთმანერთში ცვლიდა, ე. ი. წარმოების და მიწათ-მოქმედების ფეოდალური ორგანიზაცია ანუ ფეოდალური ქონებრივი

*) იხ. „მოგზაური“ № 24,

ურთიერთობა. ეს ურთიერთობა არა თუ ვერაფერს ეხმარებოდა წარმოების განვითარებას, აბრკოლებდა კიდეც. იგი წარმოების ბორკილათ გახდა. საჭირო იყო დამსხვრევა ამ ბორკილის და დაიმსხვრა კიდეც. მისი ალაგი თავისუფალმა კონკურენციამ და ამ კონკურენციის შესაფერმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა წესწყობილებამ დაიკავა. ამ წყობილებაში პოლიტიკური და ეკონომიური უფროსობაც ბურჟუაზიას ჩაუვარდა ხელში.

ამნაირი მოვლენა დღეს ჩვენ თვალწინ ხდება. თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელმაც წარმოების და აღებმიცემობის ესოდენ ძლიერი საშვალებანი შექმნა იმ ჯადოქარს მოგაგონებს, რომელმაც მთელი ჯოჯოხეთის ძალები გამოიწვია ქვესკნელიდან და შემდეგ ველარ დაიმორჩილა იგინი. ვაჭრობის და მრეწველობის ისტორია ამ 30 წლის განმავლობაში არის ისტორია აჯანყებისა საწარმოვო ძალთა წარმოების თანამედროვე ორგანიზაციის და საკუთრების ურთიერთობის წინაღმდეგ, წინააღმდეგ ურთიერთობისა, რომლის წყალობით არსებობს და ბატონობს ბურჟუაზია. საკმაოა გავიხსენოთ მხოლოთ ვაჭრობის კრიზისები, რომელიც დროგამოშვებით მეორდება ხოლმე და რაც დრო გადის, მით უფრო სასტიკათ ემუქრება ბურჟუაზიულ საზოგადოების არსებობას. თითეული კრიზისი აუცილებლათ სპობს არა მარტო მზამზარეულ საქონელს, არამედ თვით საწარმოვო ძალების ნაწილსაც კი. საზოგადოებას ისეთი სენი მოედო კრიზისების წყალობით, რომელიც სხვა რომელიმე ისტორიულ ხანაში სიბრიყვეთ ჩაითვლებოდა,—ეს არის გადამეტებული წარმოების სენი. უცებ საზოგადოება ბარბაროსულ ცხოვრებას უბრუნდება. ასე გეგონება სიმშილმა ან გამანადგურებელმა ომმა მოუსპო მას ცხოვრების ყოველივე სახსარიო; თითქო მთელი მისი ვაჭრობა და მრეწველობა სამუდამოთ დაიღუპაო. მერე რა არის ამის მიზეზი? ისა, რომ საზოგადოება ზედმეტი განათლებულია; არსებობის ზედმეტი საშვალებანი აქვს მას, ვაჭრობა და მრეწველობა ჭარბათ არის განვითარებული. საწარმოვო ძალები, რომელიც დღეს ბურჟუაზიულ საზოგადოების ხელშია, არა თუ არ ეხმარება ქონების ბურჟუაზიულ ურთიერთობის განვითარებას, პირიქით ეს ძალები მეტათ ძლიერი შეიქნა ასეთი ურთიერთობისათვის, ველარ ეტევა შიგ, და აი როდესაც საზოგადოებრივი საწარმოვო ძალები სძლევს ამ დაბრკოლებას,—მთელი საზოგადოებრივი წყობილება ირყევა და ბურჟუაზიულ საკუთრებას საფრთხე მოელის ხოლმე. ბურჟუაზიული წყობილება მეტათ ვიწრო გამოდგა და ველარ იტევს თავისავე საბრძანებელში შექმნილ სიმდიდრეს.

მაშ როგორ ჯობნის კრიზისებს ბურჟუაზია? ერთი მხრით მრავალი საწარმოვო ძალების განადგურებით, მეორე მხრით ახალ ბაზრების დაპყრობით და ძველების უფრო მოხერხებულათ გამოყენებით ე. ი. ის ამზადებს ისეთ პირობებს, რომელმაც უფრო დიდი და საშიში კრიზისები უნდა შექმნას, ის უფრო შეუძლებლათ ხდის მომავალში კრიზისების თავიდან აცილებას.

ის იარაღი, რომლითაც ბურჟუაზიამ სასიკვდილოთ დაჰკრა ფეოდალიზმი, ახლა მის წინააღმდეგაა მომართული.

მარა მან განა მარტო ის იარაღი გაჰქედა, რომელიც წუთისოფელს გამოასალმებს მას? მან შექმნა აგრეთვე ის ხალხი, რომელიც ამ იარაღს ხელთ აიღებს. ეს ხალხია თანამედროვე მუშები, პროლეტარები.

ბურჟუაზიის ანუ კაპიტალის განვითარებას თან ახლავს თანამედროვე მუშათა კლასის, პროლეტარიატის განვითარება. ამათ მხოლოთ მაშინ შეუძლიათ არსებობა, როცა სამუშაოს იშოვნიან, ხოლო სამუშაოს შოულობენ მანამდის, სანამ მათი შრომა სარგებლობას აძლევს კაპიტალს. მუშები იძულებულნი არიან თავის თავი ნაჭრობით გაყიდონ ხოლმე და ამიტომ ისეთსავე საქონელს წარმოადგენენ, როგორიცაა ვაჭრობის სხვა რომელიმე საგანი. იგინი დამოკიდებულნი არიან კონკურენციის ყველა შემთხვევაზე, ბაზრის ყოველ დაუდგრომლობაზე.

მანქანების და შრომის განაწილების შემოღებამ დაუკარგა მუშის შრომას თავისებური, დამოუკიდებელი ხასიათი და ყოველივე მიმზიდველობა მუშებისათვის.

მუშა მანქანის უბრალო დამატებათ გადაიქცა: მისი საქმეა—სრულიად უბრალო, ერთფერი და ძლიერ ადვილი შესასწავლი მოძრაობის შესრულება. ამიტომ პატრონი იმდენს ხარჯავს სამუშაო ძალის შესაძენათ, რამდენიც ეყოფა მუშის და მისი ოჯახის რჩენას. ხოლო ყოველივე საქონლის ფასი და მაშასადამე შრომისაც უდრის ამ შრომის შესასრულებლათ საჭირო ხარჯებს, ასე რომ, რაც მეტი მიმზიდველობა ეკარგება შრომას, მით უფრო ეცემა სამუშაო ქირა. ეს კიდევ არ კმარა, რამდენათ უფრო ვითარდება და უმჯობესდება მანქანები და შრომის განაწილება, იმდენათ მეტი შრომა ეხარჯება მუშას. ამის მიზეზია, სხვათა შორის სამუშაო დღის გაგრძელება და მანქანათა ტრიალის აჩქარება.

თანამედროვე მრეწველობაში ძველი პატრიარქალური ხელოსნის პატარა სახელოსნო ბურჟუა კაპიტალისტის დიდ ქარხანათ გადააქცია. ფაბრიკაში თავმოყრილ მუშებს სამხედრო ჯარივით აწყობენ. იმათ, როგორც სამრეწველო ჯარის კაცებს, უნტერ-ოფიცრების და ოფიცრების მთელ იერარქიის ქვეშ აყენებენ. არა მარტო ბურჟუაზიის კლასის და ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მონებს წარმოადგენენ იგინი, არამედ არიან აგრეთვე მანქანების ზედამხედველების და განსაკუთრებით კაპიტალისტთა მუდმივი მონები. რაც უფრო აშკარად აცხადებს ეს დესპოტიზმი თავის ერთათ ერთ მიზნათ მოგებას, მით საზიზღარი, გაუმაძღარი და გამამწარებელი ხდება იგი.

რამდენათ ნაკლები ხერხი და ღონე სჭირდება შრომას, რამდენათაც უფრო წინ მიდის თანამედროვე მრეწველობის საქმე, იმდენათ უფრო დევნის დედაკაცის შრომა მამაკაცისას. სქესის და ასაკის განსხვავება ყოველივე საზოგადოებრივ მნიშვნელობას კარგავს მუშათა კლასისათვის. მუშა შრომის უბრალო იარაღათ ხდება და მისი ფასი სქესისა და ასაკის მიხედვით იცვლება ხოლმე.

როცა მექარხნე გამოსწუწნის მუშას, რაც კი შეუძლია, და უკანასკნელი თავის ხელფასს აიღებს, მაშინ იგი ბურჟუაზიის სხვა ელემენტების მსხვერპლათ ხდება; ესენი არიან—მედუქნე, სახლის პატრონი, მევახშე და სხვ.

წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მწარმოებელნი, ვაჭრები, ხელოსნები და მესაკუთრე გლეხები ძალაუნებურათ პროლეტარიატის რაზმში დგებიან. ეს იმიტომ რომ მათი წვრილი კაპიტალები შეძლებას არ აძლევენ მათ წარმოების იმ წესებით ისარგებლონ, რომლითაც მსხვილ მრეწველობაში სარგებლობენ, ასე რომ ესენი ვერ უძლებენ მსხვილ კაპიტალისტთა ქიშპობას, კონკურენციას. გარდა ამისა, წარმოების ახალი წესები ფასს უკარგავს მათ ტეხნიკურ წესებს. აი, ასე იკრიბება პროლეტარიატი მცხოვრებთა ყველა კლასებიდან.

თავის განვითარებაში პროლეტარიატი რამდენიმე საფეხურს გაივლის. ბრძოლა ბურჟუაზიასთან მისი გაჩენის დღიდან იწყება.

თავდაპირველათ მუშები ცალ-ცალკე, თითო-თითეულათ იბრძვიან. შემდეგ ერთი ფაბრიკის მუშები ერთდებიან საბრძოლველათ და ბოლოს ერთი რომელიმე განსაზღვრული ადგილის ერთი და იმავე დარგის მუშები—იმ ბურჟუას წინააღმდეგ, რომელიც პირდაპირი გამყვლეფელია მათი. იგინი თავს ესხმიან არა მარტო წარმოების ბურჟუაზიულ პირობებს, არამედ

შრომის იარაღებსაც. ანადგურებენ უცხოეთის საქონელს, რომლის ქიშპობა მათ სამუშაოს უკარგავს, ამტვრევენ მანქანებს, ცეცხლს უკიდებენ ქარხნებს, და ცდილობენ ბრძოლით დაიბრუნონ დაკარგული, ძველებური ხელოსნის, მდგომარეობა.

განვითარების ამ საფეხურზე პროლეტარიატი დაფანტულს და შეუკავშირებელ ბრბოს წარმოადგენს, ამ დროს იგი დაქსაქსულია კონკურენციის წყალობით. დროგამოშვებით თუ შეკავშირდებიან მუშები მჭიდრო, შეერთებულ ძალით საბრძოლველათ, ეს მათი შეგნებული შეერთება როდია, არამედ ბურჟუაზიის შეერთების შედეგია; ბურჟუაზიამ, თავის პოლიტიკურ მისწრაფებათა გასახორციელებლათ, უსათუოთ უნდა აამოძრავოს მთელი პროლეტარიატი, სანამ ასეთი ამოძრავება მის ხელთ არის, მაშასადამე ამ საფეხურზე ისინი ებრძვიან არა თავის საკუთარ მტრებს, არამედ მტრებს თავის მტრებისას, ე. ი. თვითპყრობელი მონარქიის ნაშთებს, მემამულეებს, და არა მრეწველ ბურჟუაზიის და შუა წოდების წვრილ წარმომადგენლებს. ამის და გვარათ, მთელი ისტორიული მოძრაობა ბურჟუაზიას უვარდება ხელში. ყოველივე გამარჯვება ამ პირობებში—ბურჟუაზიის გამარჯვებაა.

(შემდეგი იქნება)

ბ-ნ ივანე გომართელის წერილის გამო *).

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ ნ ივანე გომართელმა „მოგზაურის“ № 16-ში „გლეხისადმი წერილები“ მოათავსა, მაგრამ ეს რასაკვირველია დასაწყისი პირველი წერილი იყო, და აი ამიტომ გვეგონა გაგრძელებაც მალე იქნებოდა, მეორე და მესამე პირველს მოებმებოდა და ამ სახით „წერილებს“ მთლიანობის და საგნის ყოველმხრივ მოვლა-გასინჯვის ხასიათი და ელფერი მიეცემოდა, მაგრამ „ცნ. ფურ.“-ის № 2820-ში მოთავსებულმა პატარა წერილმა ივ. გომართელისამ ცოტა არ იყოს გაგვაკვირვა. აქ ვტყობილობთ, რომ მისი „მეორე წერილი გლეხისადმი ვერარ იბეჭდება“; რა მიზეზის გამო არ დაიბეჭდა—ეს ჩვენ რა საკვირველია დანამდვილებით არ ვიცით, ხოლო აპრიორულათ კი შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ «მოგზაურის» რედაქცია არ დაბეჭდავდა მის მეორე წერილს, რომლის შინაარსს მოკლეთ გვაცნობს თვით ავტორი თავის «წერილში რედაქციის მიმართ».

„ამ წერილში (ე. ი. მეორე წერილში) მე ვუმტკიცებდი გლეხებსო—გვაუწყებს ბ. ივ. გომართელი—რომ თავადაზნაურობა არ არის დღეს მისი მტერი, არამედ მტერი სულ სხვაა და ამ საერთო მტრის დასამარცხებლათ თავად-აზნაურობა და გლეხობა უნდა შეერთდენ-მეთქი». საინტერესოა ვიცოდეთ, რანაირათ დაასაბუთებდა ავტორი თავის აზრს, რა სახით მოარიგებდა გლეხობას და თ.-აზნაურობას საზოგადო მტრის დასამარცხებლათ. რა გვარათ განამტკიცებდა „საერთო ნიადაგს“. ეს შერიგების აზრი არ ახალია ძველია, მაგაზე წალმა-უკუღმა ლაპარაკმა ბევრს კბილებიც მოკვეთა, მაგრამ ჩვენს ამღელვარებულ ცხოვრებასთან რომ მას კავშირი არა აქვს და არავითარ მოვლენაში არ ნახულობს თავის გამოხატულებას—ეს კი ცხადზე-უცხადესია. და ტყვილათ შეწუხებულა პატივცემული ავტორი ასეთი გაცვეთილი აზრის ქაღალდზე გადატანით. „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაო“—კაი ხანია ეშხიანი ხმით დამღერიან ჩვენი ბურჟუაზიული ფარისეველნი და ნაციონალისტური მწიგნობარნი. ბ. გომართელს, როგორც გავს ცოტათი მოწონებია ეს საამდროო გალობა საერთოთ ბურჟუაზიისა და აუყოლებია კიდეც იმაზე ხმა. თვარა არ გვესმის, რათ ლაპარაკობს ის იმას, რაც კაი ხანია ცხოვრებამ უარყო, რათ ცდილობს იმის შერიგებას, რისი შერიგებაც შეუძლებელია, რათ მოუწადინებია იმაზე ლაპარაკი, რაზედაც ცხოვრებამ დიდი ხანია უარყოფით მიუგო?! ბ. გომართელი ამბობს—ჩემი პირველი წერილი ბევრმა ისე გაიგო, ვითომ მე გლეხობას თავად-აზნაურობის წინააღმდეგ ვაქეზებდეო. ამ გვარი ქადაგება მე აზრადაც არ მომსვლიაო. პირველ წერილში მე სრულებით სხვა ვინმე მყავდა სახეში და არა თ.-აზნაურობაო. რა აზრისაც უნდა ვიყო წოდებათა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, ათავებს რედაქციის მიმართ წერილს ავტორი **დღევანდელ დღეს მაინც ერთ წოდებას მეორეს არ მივუსევდი** **), რადგან ეს იქნებოდა ჩემივე ხელით ჩვენის ხალხის ყელის გამოჭრა და ყალბ გზაზე შეყენებაო». საკვირველი ისაა, რომ ბ. ი. გომართელი სიტყვებსაც ისეთს ხმაროობს, როგორც ჩვენი გაბატონებული კლასების იდეოლოგნი, თორემ წოდების წოდებაზე მისევის შესახებ ლაპარაკს არ დაიწყებდა. კარგათ იცის ბ. გომართელმა, როგორ სარგებლობენ ჩვენი ბრწყინვალე წოდების გამოჩენილნი და გამოუჩენელნი წარმომადგენელნი სიტყვა «მოსევით», რათა დაამცირონ, ფეხქვეშ გათელონ, შეურაცხყონ დღევანდელი გამათავისუფლებელ მოძრაობის ხელმძღვანელნი და მეთაურნი, თუმცა არავითარ „მისევას“ და სხვა ამ გვარს მათ მოქმედებაში ადგილი არ აქვს. პირიქით ისინი აცნობიერებენ იმ აუცილებელ პროცესს, რომელსაც ცხოვრება ამუშავებს, იმ რეალურ ურთიერთობას, რომლის ნიადაგზე პირისპირ წამომჯდარან აზნაური და გლეხი, როგორც შეძლებული, უპირატესობით აღჭურვილი და შეუძლებელი, მონათ გადაქცეული; ნუ თუ, როდესაც წოდებათა ან კლასთა წინააღმდეგობას არკვევენ და ითვალისწინებენ შეუძლო კლასებთან ერთათ, მაშინ ხალხს ყელს სჭრიან? განა კლასობრივი ცნობიერების შეტანა ხალხში — ხალხის ყალბ გზაზე შეყენებაა? ეს ჩვენ სრულებით არ გვწამს; პირიქით გვგონია, რომ რაც მეტი კლასობრივი შემეცნება გავრცელდება ჩვენ ხალხში, მით უფრო უმჯობესი იქნება მისი სოციალური ცხოვრებისათვის, ვინაიდან გაცნობიერებულ კლასთა ბრძოლის განვითარებაში ვხედავთ ჩვენ ერთად-ერთ ხსნას ყოველგვარ ისტორიულ უბედურებისაგან, ძარცვა-ყვლეფისაგან, უსამართლობისა და უთანასწორობისაგან. თუ ბ. გომართელი დღევანდელ მოძრაობას, რომელიც მიმართულია თავად-აზნაურულ ურთიერთობის სრულიად გაუქმებისაკენ სხვა მიზნებს და სხვა კითხვებს უყენებს გადასაწყვეტათ,—ეს აშკარათ მოწმობს, რომ მას სრულიად ვერ შეუგნია თანამედროვე ვითარება და საზოგადოებრივ ძალთა განწყობილების ბუნება და ხასიათი. ჩვენ ერთ წუთსაც არ შეგვიძლია დავივიწყოთ ის უშველებელი ორმო, რომელიცაა გათხრილი ორ კლასს-შუა. მართალია „სხვა ვინმეს“ ასახელებს ბ. გომართელი, იმის დასამარცხებლათ უნდა შეერთდენ ცხვარი და მგელი, ბრალიანი და უბრალოო, ამბობს ის, მარა ეს „სხვა ვინმე“, ერთ-ერთ კლასს ცხოვრებაში მხარს აძლევს, ამაგრებს, უპირატესობით მოსავს, და მაშასადამე ბრძოლა მის წინააღმდეგ ამ ერთ-ერთ კლასის წინააღმდეგაცაა. პირველის დამარცხება უკანასკნელის ძლიერების შემუსვრასაც მოასწავებს. „სხვა ვინმე“ ყოველთვის დამყარებულია იმ კლასებზე, რომელნიც თავზე აზიან საზოგადოებრივ ცხოვრებას; უამკლასებოთ იგი ყოველთვის უძლურია, ის მათი სურვილის და

*) ეს წერილი რედაქციას კაი ხანია მიღებული აქვს, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო იგი აქამდის ვერ დაიბეჭდა. **რედ.**

**) ხაზს ჩვენ ვუსვამთ.

ლტოვილების გამომხატველია, მაგრამ ერთი შეხედვით იგი განსხვავებულ საზოგადოებრივ ძალასაც წარმოადგენს, ისეთ ძალას, რომელიც თავის მხრივ გავლენას ახდენს თავისივე მომავლინებელ ელემენტებზე და ისე მოქმედებს, თითქო არავითარ ინტერესებს გაბატონებულ კლასებისას არ ემორჩილებოდეს. ნამდვილათ კი ყველა ესენი ერთს სულსა და ერთ ხორცს წარმოადგენენ, ერთი მეორეს ძვირათ ღალატობენ, ერთი მეორეს ქებათა-ქებას ასხამენ. „გუგული მამალს აქებს, იმიტომ რომ მამალი გუგულს აქებსო“, ამბობენ ხოლმე რუსები. ჩვენი ცხოვრებაც ამასვე გვასწავლის და გვეუბნება. აკვარხალებული ცხოვრების გულიდან ამოსროლილ მწარე. „თქმას“ ვერ აბათილებს, ვერ ასუსტებს ნაციონალური იდეალები ჩვენი მოხუცი წოდებისა. თვით საზოგადოების გულში დატრიალებულ გრიგალს ვერ მოსპობს თავად-აზნაურული პატრიოტიზმი და კეთილ-შობილური ლათაიები „კეთილ-შობილურ“ ინტელლიგენციისა. მხოლოთ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ თავად-აზნაურობასთან იმდენათ გვაქვს საქმე, რამდენათაც იგი წარმოადგენს გამაგრებულ, უპირატესობით აღჭურვილ წოდებას, პროგრესის შემაფერხებელ მოვლენას, და ფეოდალიზმის ბორკილების გამომსახველს. რაც შეეხება ბ. გომართელის აზრს—პირველ წერილში „სხვა ვინმე“ მყავდა სახეში და არა თავად-აზნაურობაო,—უნდა მოვახსენოთ, რომ ის სრულიად არ არის მართალი, უკეთ რომ ვსთქვათ არ შეეფერება პირველ წერილში გამოთქმულ შეხედულობას. ბ. ივ. გომართელი მოკლეთ ახასიათებს მრავალ-ჟირნახულ გლეხი კაცის სულ უწინდელ ცხოვრებას და ნახულობს, რომ იგი იყო მონა, ე. ი. უბრალო ნივთი, უსულ-გულო არსება, რომ იგი მოკლებული იყო ყოველ-გვარ საკუთრებას და ქვეყანაც მხარს აძლევდა ამგვარ ავაზაკობას. ვინ ყოფილა წინეთ, მონობის დროს მისი მტერი? მხოლოთ მისი მჩაგველი მონათ-მფლობელი. დადგა ყმობის დრო; გლეხ-კაცი გაჭირვებაში ცხოვრებდა; მას აწვალებდენ, ჩაგრავდენ. ვინ იყო ამის შემავიწროებელი? ბატონი თავად-აზნაურობა. ბატონ-ყმობის უღელი ჩამოცილდა გლეხს; იგი ნაყმევი შეიქნა მას ჩამოართვეს მიწა. ურომლისოთაც ცხოვრება არ შეეძლო, და უთხრეს თავისუფალი ხარო. რადგანაც ადამიანს ჰაერით ცხოვრება არ შეუძლია, იგი იძულებული იყო დამორჩილებოდა მას, ვისაც ქვეყანამ მიწა არგუნა. ვის შერჩა მიწა ყმების განთავისუფლების დროს ბ. გომართელო? აქ თავად-აზნაურობა არაფერ შუაშია? როგორ შეიძლება გლეხებზე ლაპარაკობდეთ, მათ გაჭირვებულ ცხოვრებას ითვალისწუნებდეთ და ამავე დროს მათი დაბეჩავებული ცხოვრების მიზეზს გვერდი აუაროთ?—და არც აგიღიათ პირველ წერილში. ვილაპარაკოთ ფაქტებით: „დღეს, როდესაც შენ ძლიერი და ენა-ადგმული გიხილეს შენმა მტარვალებმა (დღემდე ხომ პირუტყვათ გთვლიდენ), ენას გიჭიცებენ: შენ გონიერი ხარ; მითხარი რა გინდა, რა გსურს და ყველაფერს აგისრულებთ, მზათ ვართ გემსახუროთო! სტყუიან, არ დაუჯეროთ! განა მათ კი არ იცოდენ, რომ შენ ადამიანი ხარ და მაშასადამე ადამიანური ცხოვრება გინდა? იცოდენ, კარგათ იცოდენ დიდი ხანია, მაგრამ შენ მხოლოთ მონათ უნდოდი და არაფერს შენთვის არ იმეტებდენ და სხვ. ბ. გომართელის აზრით აქ „სხვა-ვინმეა“ და არა თავად-აზნაურობა სახეში მიღებული. ვინ იყვენ და ვინ არიან გლეხ-კაცის მტარვალნი? ვინ თვლიდა და ვინ თვლის გლეხ-კაცს პირუტყვათ? ამაზე პასუხი თვით ბ. გომართელმა აგოს. ხოლო ჩვენ კი ჩვენდა თავათ ვიტყვით რომ თავად-აზნაურობის, როგორც წოდების, ინტერესი ეწინააღმდეგება მთელი საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებას, მთელი ხალხის და რა თქმა უნდა გლეხობის ინტერესებსაც. ამიტომ ამ ინტერესთა წინააღმდეგობას დავიწყებას ვერ ვურჩევთ ხალხს, გლეხობას. პირიქით ამის შევნების და გათვალისწინების მომხრენი ვართ, რადგანაც ეს ძლევა დასაბამი თანამედროვე ტრაგედიას და ხსნა! ხელმეკვ ამ ნიადაგზე განიცდის სასიკვდილოთ მომართულს ისრების ჩხვლეტას. კლასთა ბრძოლას მივყევართ საერთო მტრის დამარცხებამდე, კლასთა ბრძოლა ამუშავებს თანამედროვე ისტორიას ჩვენში, ბ. გომართელი კი გველაპარაკება მოცლილი კაცივით—საჭიროა შეერთება სხვა და სხვა კლასებისაო, და მით რა თქმა უნდა მივიწყება-გადაფუჩეჩება ინტერესთა წინააღმდეგობისა. არა, ბ. გომართელო, როგორც გავს გვარიანი ნახტომი გაგიკეთებიათ ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ბანაკისკენ, და ნურას უკაცრავათ, თუ ისინი ვერ გადმოგყვენ თან, ვისაც მაღლა აქვს დაყენებული წმინდა დროშა ფეოდალიზმისაგან და უსამართლობისაგან გამათავისუფლებელი. თავის „რედაქციის მიმართ წერილში“ ბ. ივ. გომართელმა საკმაებით გაგვაცნო თავისი ეხლანდელი ფიზიონომია, როგორც «საერთო ნიადაგის“ მოტრფიალემ, და ამიერიდან გვეცოდინება, ვის თან გვაქვს საქმე!!.

პ. აბაშიძე, პ, კიკალიშვილი, გ. ჩხაიძე, შ. ელიავა, ვ. გარდავაძე, ნ. ბალანჩივაძე, მიშა ქუთათელაძე.

ჩემი შთაბეჭდილებანი

III

პროლეტარიატი.

გაზაფხულის შუქმა ერთბაშათ შეაბრუნა ჩვენი საზოგადოების ჩვეულებრივი უკუღმართი თავზე ტრიალი. საკმარისი იყო ერთი, ერთად-ერთი სიტყვა, რომ იგი ისევ ფეხზე დამდგარიყო. ეს ისტორიული სიტყვა ითქვა. ქალბატონმა ბიუროკრატიამ წარმოსთქვა იგი თავისი წმიდა მოცაქულის ბაგითა: ქალბატონმა საზოგადოებას ნდობა გამოუცხადა! ძლიერი მუჭა უძლურთა თვითონ კი არ თხოულობს ნდობას, როგორც ეს ყველა წაღმართ ქვეყნებში ხდება,—არა, ის მთელს კრებულს, მთელს საზოგადოებას უთვლის: რა გაეწყობა, მოდი, ვსინჯავ, გენდობით. აი სადამდის მიაღწევს ხანდისხან ლოღიკური უკუღმართობა. გამოდის: მთელი — მახინჯი ნაწილისთვის არსებობს, სხეული—მაზე აღმოცენებულ სოკოსთვის!..

როგორც უნდა იყოს, ეს მოჯადოებული სიტყვა ითქვა და ამ თქმამ თავისი ქმნა—ახალისთვის ,,სვრანი და ძვრანი“ გამოიწვია: კომაქები მოიჯაჭვენ, ბნელი ძალები მიიმალენ, მომალულნი მცხოვრებნი—საწყალი, ბეჩავი ,,обыватель-ები, თუმცა უნდოთ, გან-განზე ხედვით, გამოვიდენ, მზეზე გამოეფინენ. დაიძრენ თავ-თავიანთ სოროებიდან დაფეთებული ინტელიგენტები და... იწყეს თავის, უვარჯიშობით დაჩლუნგულ დაჟანგული იარაღების მოპირვა: ენის წვერი ააჩიკჩიკეს, კალმისა —ააწკრიპინეს... გაჩაღდა ბანკეტები თავისი ადრესებითა და რეზოლიუციებით, პეტიციებითა და ბატონებისადმი თხოვნა-მუდარებით: ,,ჩვენც... ადა...მიანები ვართ, ჩვენც შემოგვიჯდინეთ სუფრის, თუ გინდ იქ ბოლოში, ჩვენც ჩაგვირიეთ ჩვენ საკუთარ საქმეებშიო“... თუმცა ყველა ეს ,,ჩვენცა და ჩვენც“, ყველა ეს რეზოლიუც-რევოლიუციები, რასაკვირველია, ქაღალდზე და მხოლოთ მარტო ქაღალდზე სწარმოებდა, მაშასადამე, ვერც მტერს ავნებდა, ვერც მოყვარეს არგებდა,—ამის და მიუხედავათ, წინააღმდეგობათა დაუჭვეველნი ბატონ-პატრონები კადნიერთ ამ კადნიერებას, ცხადია, ვერ აპატიებდენ. ცხადია, საზოგადოება ჯერ კიდევ არაა საკმაოთ მოქეშილ-გახეხილი, მაშასადამე, ის არც ნდო-

ბის ღირსია. ითქვა, იქნა: სცენაზე ისევ ის მანდილოსანი რეაქცია გამოდის—ეს უკბილო ბებრუცანა თავისი ეშვებით. სადღაა, რაა, ეს შენი მოწონებული **ნდობა,** ან ეს უდღეური უდროული გაზაფხული! ბუნებრივ ზამთრის სუსხს ხელოვნური—რეაქციის სუსხი შეუერთდა.. ისევ ის ბნელი ძალები, ისევ კუდ-გამოგრეხილი კომაქები და მათი უსირცხვილო თარეშ-ნავარდობა. ნაპირებიდან გადმოხეთქილი საზოგადოებური ქიმდინარეობა, ყოველ-მხრიდან დევნული, შევიწროებული, ისევ თავის ძველ ვიწრო, დამყაყებულ კალაპოტისკენ მიერეკება. ისევ იქ უნდა მოიკრუნჩხოს, მოიხაშმოს, მოიწამლოს.

და აი, ამ დროს, სწორეთ ამ დროს, ბრძოლის ველზე გიმართება იგი—ტიტანი, რომლის უბრალო აჩრდილი მდევართ ასე.. დააფეთებს, დაფეთებულ დევნილთ ასე გაამხნევებს! ეს თვით შრომაა! როგორც ინტელიგენცია და მისი მომავლინებელი ,,კაი საზოგადოება'', პირველათ შრომაც იმავე იარალით—პეტიციით, გამოვიდა, შემდეგის მხოლოთ პაწია განსხვავებითა: ქალალდს ძალა გააყოლა, იდეას—მატერია: თავისი შავი, დაძირკვული მუშტი. ცხრა იანვარსაც სწორედ ეს პაწია განსხვავება ასხვავებს. ამ ისტორიულს დღეს მომავალმა მეფემ პირველათ დაათვალიერა თავისი ჯარი იქ იმ მოედანზე, სადაც წარმავალი თავიდანვე თავისას ათვალიერებს. ახალი შეიჭრა ძველის სამფლობელოში; ძველი შეირყა შეკრთა ახალის დანახვაზე. ორი მოწინააღმდეგე რეალური ძალები დაუპირდაპირდენ ერთმანეთს;.. მოწყალეო ხელმწიფენო, მოწყალეო ხელმწიფანო, ისტორიას აი ეს ძალები და ამ ძალებთ შეჯახება ჰქმნიან, აკეთებენ. საოცრებაა! ეს ჭეშმარიტება, რასაც ასე ცხადათ ყოფს თვით ისტორია, ყველას წინ უდგას მარა მას ყველა ზურგს აქცევს, უკუ აგდებს, თვალს აფარებს. როცა სადმე—„სობრანიაზე", აპლოდისმენტებითა და ტაშის ცემით დამთვრალი, გაბრუებული ორატორი—ფრაკში გამოწკიპული ვექილი გინდ ინჟენერი, ექიმი თუ პედაგოგი უკან სახლში მოდის, ის—ეს შენ კარგად იცი ჩემო ამხანაგო მკითხველო—მადის სრული დარწმუნებული: ქვეყანა ეხლა... ისე და იქით აღარ ბრუნავს, როგორც და საითკენაც წინეთ ბრუნავდა—მისმა ქუხილმა სულ სხვა გზაზე დააყენა! ენისა და კალმის წვერი, ეს ის არხიმედის წოწინარია, რომლითაც ინტელიგენცია თავის სურვილისამებრ არწევს ისტორიას. საკვირველია, რომ ინტელიგენციის ეს ცრუ მორწმუნეობა ხალხსაც და ბისმარკებსაც მართლმორწმუნეობათ მიაჩნიათ. რევოლიუციის უფსკრულში გადაჭრილი ლუი მე-16 მოსისხლე მტერს მირაბოს უჩოქებს—მასში ეძებს ხსნას, მას ეპოტინება. მირაბო რევოლიუციას სასახლის ოქროზე ცვლის, დარწმუნებული რომ რევოლიუციას სასახლის წინ ამხობს და აჩოქებს. ასე ფიქრობენ დღესაც თითქმის ყველა დიდი და პატარა, მირაბოები, თუმცა დასტურ ყველა რევოლიუციები ყველა მირაბოებს იქითკენ აბწიალ-ატრიალებენ, სათკენაც ხალხის მოუსყიდელი მუშტი გადასტრიალებს...

საზოგადოებური მეხანიზმი მთელი თავისი სიგძე-სიგანით დაყრდნობილია მაგარს, მართალია, მარა გარდამავალ მომაკვდავ მატერიაზე. ეს არის მშრომელი, ხელით, ძარღვით, მშრომელი ხალხის ზურგი. რამდენათ დრო გადის, იმდენათ იჟანგება, შძიმდება ეს მეხანიზმი, მაშასადამე იმდენათ შავდება. ცვფება ამ მეხანიზმის მატარებელი ზურგიც. ეს იწვევს, ცხადია, ტკივილს. ყველაფერს საზღვარი აქვს. აქვს საზღვარი ამ ტკივილსაც. და აი, აქ ხალხი—ეს ცოცხალი საფუძველი ცოცხალი საზოგადოებური შენობის —თუ მან მთელად არ დაკარგა ტკივილებისადმი გრძნობიაროზა, უეჭველ უნდა შეირყას, გაინძრას, რო გაჭარბყვას გადურჩეს—მაშასადამე უთუოდ უნდა შეირყას დაინგრას მთელი, მაზედ აკიდებული, ბარგი ბარხანაც. ეგრედ წოდებული სოციალური კატასტროფა—რევოლიუცია, აი ეს წძრევა-ნგრევაა. ისტორიაც აი აქ აკეთებს თავის დიდ ნახტომს, აქ იცვლის კანს. ამ განმანახლებელი პროცესის დედა-ძარღვი, როგორც ვხედავთ, თვით ძარღვიანი მაგარ-კანიანი ხალხია. დაკოტავებულ-დაკაპიწებული, წელზე ხელებ-შემოდგმული, ეს მდევი დასცქერის უმოძრაოთ გაგდებულს თავის მსხვერპლს. ძველის იოლათ დამშლელ-დამნგრეველი, სრულს უძლურებას იჩენს, როცა საქმე ახალის აგება-აშენებამდის მიდის ქლესა მელია—გუშინდელი ვიღაც ვიგინდარაც სწორეთ ამას უცდის, ამას ელის. კუდის ქნევითა და ქიცინით გამოცუნკულებს ის ბლუე, უვიცი დელიყანდის წინაშე; ალბობს ეამბორება და ამავე დროს მის დელიყანდის მიერ დამხადებულს მასალას უსვეს მთელს რაზმს თავის ერთგულ ოსტატთა, ხუროთა და ხუროთმოძღვართა. გაჩაღდა მუშაობა და აი: ახალთ-ახალი გაკრიალებული სოციალური ეტლი ახალი პასაჟირებით; ახალი ბატონ-პატრონები ახალი მათრახებით; ახალი, კოხტა-კოკობი, კეხი და ახალი მალამო.—აი რით იჯადოებს ახალი ქვეყანა, ახალი ბატონი მათ გამომწვევ გატყავებულ-დაშავებულ ძველს ზურგს!..

გამოდის, პირველი შეხედვით, შეურიგებელი წინააღმდეგობა: შრომა, რომლის ისტორია მთელი ისტორიის შინაარსს შეადგენს, რომელიც ამოძრავებს, ანახლებს, ახალისებს ცხოვრების მთელს ზედაპირს,—თვითონ ქვევით არავითარს არსე. ბითს ცვლილებას არ განიცდის: მოწის დასერილ-დაწყლულებულია ზურგი, ახალი მალამო, ახალი კეხი, ახალი ჯალათ-პასაჟირებით ყმას. ყმა ისევ ახალი მალამო ისევ ახალი კეხი ახალი ბარკი-ბარხანით პროლეტარს. იცვლება სახელი, ფორმა, შინაარსი კი ივივე რჩება: დაჩაგრულთა ყოველის ამტანი, ყოველის მომთმენი ზურგი და ზედ დამჩაგვრელთა აუტანელი ტვირთი.

დიახ, ეს ასეა, მხოლოდ პირველი შეხედვით. მეორე შეხედვით კი,—როგორიც უნდა იყოს პესიმისტია შეხედულობა,—ეს ასე არაა. სახელისა და ფორმის შეცვლა შინაარსის შეუცვლელათ არ ხდება. ეს ლოღიკური განვითარების კანონს ეწინააღმდეგება.—რა არის პროლეტარი? დაბოკრკილი, დატყეეებული შრომის უკანასკნელი ფორმა. მონა? ამ შრომის პირველი ფორმა. აი ეს ბოკრკილი ერთებს პროლეტარს მონასან, მონას პროლეტართან. დანარჩენში კი დიდათ განირჩევიან, განიყოფიან, განსხვავდებიან.—მონა ეს დაბალი ღობეა. მისი გათელვა სრულიად არაფერია. ეს ჭაობ და ჭიასავით ადვილი გასასრესია; მეტყველი ორ-ფეხია, რომლის მხოლოდ ძარღვს, ხორცს აუსებს, რომელსაც ისე ხმაროვენ, როგორც პატრონნი მოისურვებენ. ამ ორ-ფეხს, ვითარცა ოთხ-ფეხსა, ისე უღელში უბამენ, ხან ჰკლავენ, მის ხორცს კმაენ აგუფთავებენ და იქ იაუზში თვეზებს უყრიან ,,გაგემრიელდებაო. ან, როგორც ძარღში ქაჯს ქათმსა,—ბედკრულ მოძმონას გასართობათ ცირკში განგებ დამშეულ მხეცებს ცოცხლად უკიდებენ!..

აქედან პროლეტარიატის დიდი, გძელი მანძილია. პროლეტარის აწკარათ გათელა ეხლა არც ასე ადვილი საქმეა. მის ძალას დღეს დაუმალავათ ანგარიშს უწევენ დიდებულნი—ამა ქვეყნისა ძლიერნი. მონის ბადიში, გუშინდელი ყმის ღვიძლი შაილი, პროლეტარი ღამე ძილს უკარგავს, დღეგრძელობას შეერთებული გერმანიის თვით უუმაყეს ბრძანე-

ბელსაც. ღვთის ნათესავ ვილგელმ მეორის ამ საჯაყ მდგომარეობას დღეს აღარ მალვენ მისი მიწიერი მახლობელი ნათესავებიც. პრუსიის დაზაფრული იუნკრები (აზნაურნი) მხდალის სიზაფხით ბღავიან: მთავრობამ დაყარა იარაღი პროლეტარიატის წინაშე და ჩვენ ამას ვერ დაუშვებთ, ვერ მოვითმენთო“! („P. B.“ № 127) ტყუით, ვარდისფერ—სისხლიანო რაინდნო: კი დაუშვებთ. კი მოითმენთ—ხო იცით, ძალა ჩალასაც რო ამტვრევს!...

მონა, ყმა, პროლეტარი—ეს, როგორც ვთქვით, და ბორკილი შრომის წარმომადგენელთა სამი სხვა და სხვა ტიპია. მათი ისტორია—ეს შრომის ისტორიაა. პირველი ორი ტიპი შრომის განვითარების ორი უკანა, ქვედა საფეხურის შვილია. თვითეულ მშრომელს იქ, ხელოსანია ის თუ მეურნე, მონაა თუ ყმა, თავისუფალი თუ მორჩილი,—თავისი ნაჭერი მიწა, თავისი ქოხი, თავის სახელოსნო აქვს. თვითეულს ხელში საკუთარი სამუშაო იარაღი უჭერია, რომელსაც თვითონ აკეთებს, რომლითაც თვითონვე აკეთებს: ხნავს და ქსოვს, სწედავს და კერავს. თვითეული მხოლოთ ამ საკუთრებას დასცქერის; მით იბრუნებს თავის გაჭირვებულ სულს და ქვეყანასაც მით აბრუნებს, მით აპურებს...

—ლია.

(დასასრული იქნება).

დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა.

(კლარა ცეტკინისი).

თარგმანი რუსულიდან.

(შემდეგი *).

აქამდინ ჩვენ ვცდილობდით დაგვემტკიცებია, რომ თანამედროვე ცხოვრების პირობებმა ძველი „დიასახლისი“ საზოგადოებრივ ანახრონიზმათ გახადა.

„დიასახლისის“ ფუნქციას ჩვენ მხოლოდ ეკონომიური მხრით ვარჩევდით. რაც შეეხება ქალს, როგორც დედას—ამაზე ჯერ არ გვილაპარაკნია. არა გვითქვამს რა მის „ბუნებრივ დანიშნულებაზე», რის შესახებ ისე აღტაცებით წერდენ და ლაპარაკობდენ ძალათ გაპოეტებული და გაფილოსოფოსებული ფილისტრები.

ამ ვაჟბატონების აზრით ქალი ძველ მდგომარეობაში უნდა დარჩეს და თავის «დედობრივ მოვალეობას» ასრულებდეს, რაც შეეხება თავისუფლებას - ის მან არ უნდა მოითხოვოს და თუ მოითხოვა—მაშინათვე ჯვაროსანთა ომის ქადაგებას დაიწყებენ ქალების განმათავისუფლებელ მისწრაფების წინააღმდეგ.

ასე გონიათ, რომ ამ „ბუნებრივ დანიშნულებაზე“ მასლაათით შეიძლება დაკმაყოფილდეს ქალი, რომელიც მოითხოვს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მას თავისი წილი უფლება და მოვალეობა ჰქონდეს მინიჭებული.

ამნაირ მსჯელობას «მორალური» მოსაზრებით ხსნიან ხშირად მოგეხსენებათ, რომ ფილისტერებს ისე არასფერი არ უყვართ, როგორც მათთვის არა სასიამოვნო ფაქტებისა და მოვლენების თავიდან აშორება, რასაკვირველია «მორალური» ოსაზრებით. „მორალური მიზეზი» მართალია თავის თავათ მეტათ უშინაარსო და ფუჭსავატი არის, მაგრამ ამასთან ლამაზი, იაფი და სასიამოვნო გასაგონი. ბურჟუაზია იმალება თავის მორალში ისე, როგორც სირაქლემა სილაში, როდესაც ის საშიშ მდგომარეობაში გრძნობს თავს.

როდესაც ქალის მდგომარეობაზე ლაპარაკობენ და მის «ბუნებრივ დანიშნულებას» აკანონებენ, სრულებით არ ღებულობენ მხედველობაში იმ აუარებელ ქალებს, რომლებიც ვერასდეს ვერ შესძლებენ თავიან დედობრივი მოვალეობის შესრულებას.

ამ ქალების რიცხვი კი, თანამედროვე საზოგადოებრივი პირობების გამო, ყოველ წლობით მრავლდება, და საკითხი დღიური ქარის შესახებ შეიქნა მათთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხათ.

კაცთა ქორწინების რიცხვი თან და თან მცირდება. ამის მიზეზათ ერთი მხრით გაუთავებელი ომებია, რომელნიც აუარებელ ახალგაზდათა სიცოცხლეს წუთისოფელს ასალმებენ, მეორე მხრით კი სიღარიბე, რომლის გამო კაცი საკუთარ ოჯახს ვერ ეკიდება.

ხშირათ აუტანელ ეკონომიურ პირობების გამო ქმრიან ქალსაც არ ეძლევა შვილები. ფიზიკურათ ცუდათ განვითარებული პროლეტარის ცოლი აჩენს ქვეყანათ მხოლოთ უბედურს, ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ ბავშვებს, თუ რასაკვირველია მთლათ არ ესპობა მშობიერობა. რა უფლების ძალით აკისრებენ იმ მოვალეობას, რომლისთვისაც არცერთი საჭირო და აუცილებელი პირობები არ არსებობს?!

მაგრამ შეუძლია კი ქალს, რომ თანამედროვე პირობებში აღზარდოს ბავშვი ისე, როგორც წესი და რიგია?!

თუ თვალს გადავავლებთ ბურჟუაზიულ კლასის ოჯახს, დავინახავთ, რომ ქალის «ბუნებრივი დანიშნულების» შესრულება გამოიხატება მხოლოთ იმაში, რომ ის ქირაობს სხვა და სხვა გარეშე პირებს, ძიძებს, რომელთაც აკისრებს ყველა თავის „დედობრივ მოვალეობას“ და, ამასთანავე, დიდის სიამოვნებით დააკისრებდა იმავე პირებს არა სასიამოვნო მშობიერების აქტსაც, მაგრამ, მისდა სამწუხაროთ, ეს შეუძლებელია.

ბავშვების კარგი მატერიალური პირობების წყალობით, ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა ებარება ამ საქმისთვის სპეციალურათ მომზადებულ პირებს.

დედის მოვალეობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ის ირჩევს ამ სპეციალისტებს, ყურს უგდებს მათ და აძლევს ჯამაგირს. ქალი მხოლოთ იშვიათ შემთხვევაში უძღვება შვილის აღზრდის საქმეს და უფრო იშვიათია, რომ ამ აღზრდას რამე კარგი შედეგი მოყვეს.

რასაც მსხვილ ბურჟუის ოჯახში შვრება სიმდიდრე, პროლეტარის ოჯახში—სიღარიბე. რაც უფრო მცირდება ქმრის ხელფასი, მით უფრო აუცილებელ საჭიროებათ ხდება ცოლის შრომა ოჯახისთვის. გაჭირვებას გამოყავს ქალი ოჯახიდან და მიყავს ფაბრიკაში, სადაც ის ქმართან ერთათ შრომობს, რომ როგორმე ოჯახის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. თავისთავათ ცხადია, რომ ამნაირ პირობებში ქალს არ შეუძლიან ყური უგდოს შვილის აღზრდის და განვითარების საქმეს.

ამნაირათ, თანამედროვე მატერიალური პირობები ერთნაირათ მოქმედობენ როგორც მაღალ, ისე დაბალ კლასებში. ამ პირობებმა **დედას შვილების აღზრდის საქმე ხელიდან გამოაცალეს.** უმთავრეს შემთხვევაში ბავშვების აღზრდა ოჯახის მოვალეობას აღარ შეადგენს—ეს საქმე სხვებს, ოჯახის გარეშე მყოფ პირებს ჩაუვარდათ ხელში.

წარმოების ახალმა პირობებმა, არა თუ მოაცილეს ქალი შინაურ საქმეებს, არამედ შვილის აღზრდის საშუალებაც მოუსპეს. ამ მხრივ, როგორც ბურჟუაზიული წრის ქალი, ისე მუშა-ქალიც ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებიან, წარმოების პირობებმა ერთნაირათ იმოქმედეს მათზე. მიუხედავათ ამისა, ამ ორ კლასთა ქალების შინაურ ცხოვრებაში დიდი განსხვავებაა: ერთი მხრით—სრული უსაქმობა და ნებივრობა, მეორე მხრით—აუტანელი გაჭირვება და ჰაპან-წყვეტა. **ბურ-**

*) იხ. „მოგზაური“ № 23,

ჟუაზიულ ქალს საშუალება აქვს, რომ თავის შვილებისთვის განათლებული სპეციალისტები მიიპატიჟოს, რომელთ გავლენა ბავშვებზე გაცილებით უკეთესია, ვიდრე თვით დედის, და ამნაირათ, ბავშვები, შედარებით, ჯკეთეს პირობებში იზრდებიან. სულ სხვა ნაირათ არის მოწყობილი **მუშა ქალის საქმე:** მისი შვილების აღზრდა თითქმის ყოველთვის და აუცილებლათ **შემთხვევაზეა** დამოკიდებული, ხოლო სკოლას, რომელიც წრთვნის და ანვითარებას ბავშვების ზნეობრივსა და გონებრივ მსამეს, წარმოადგენს **გაჭირვება**.

შეძლებულ ქალს მეტათ ეზარება თავის შვილის თავისივე ძუძუთი საზრდოება, რადგანაც ეს გარემოება მის ტანადობას და მოყვანილობას აუშნოებს, უკარგავს ჩვეულებრივ სიკეკლუცეს და სინარნარეს.

ეს რომ თავიდან აიცილოს ის ეძებს თავის შვილისთვის „ჯანსაღ სოფლის დედაკაცს“, რომელიც ბავშვს უფრო საღი რძით ასაზრდოებს, ვიდრე დედა, რომლის ორგანიზმი დაბადებიდანვე მოწამლულია.

ის პირები, რომელთაც შემდეგში ბავშვის აღზრდას ავალებენ, ამ საქმისთვის სპეციალურათ ემზადებიან. მუშა-ქალს კი ფიქრიც არ შეუძლიან იმაზე, რომ, თავის მაგივრათ ვინმე კარგი მეძუძური იშოვნოს. თუ ავათმყოფობამ არ აიძულა ის, რომ შვილის ძუძუ გააშვებიოს, მუშაობის ძნელი პირობები აიძულებენ მაინც ეს საქმე ჩაიდინოს. ხან და ხან ის უდგება ძიძათ სხვის შვილებს, მაგრამ უფრო ხშირათ ის ფაბრიკაში გარბის სამუშაოთ, სადაც მთელი დღე გამუდმებით მუშაობს, თავისუფლდება ერთი საათით, მხოლოდ სადილობის დროს, როცა ის მირბის სახლში, რომ დამშეულ შვილებს თვალი გადაავლოს და საჭმელი მიაწოდოს.

(შემდეგი იქნება).

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ეს წერილი „ცნ. ფურცლის“ რედაქციაში მჭონდა გაგზავნილი დასასტამბავათ, შემდეგ „ივერიასაც“ გავუგზავნე, მარა არც ერთმა რედაქციამ რაღაც ღრმა მოსაზრებათა გამო ადგილი არ მისცეს მას თავიანთ გაზეთში. ამის გამო უმორჩილესადა გთხოვთ, თუ შესაძლებლათ ჰპოვოთ, დამისტამბეთ ეს წერილი და მით საშვალება მომეცით გავასწორო ჩემი უნებლიე შეცდომა.

„ცნ. ფურც.“ № 2819-ში ბ. სილ. ხუნდაძის წერილია დასტამბული, რომელშიაც ავტორი სხვათა შორის ამბობს: „პირველი ჩვენი წერილის ხელის მომწერთაგან ოცმა ინტელიგენტმა უკვე წაიკითხა ეს წერილი და მოიწონა მისი შინაარსი... სრულიად დარწმუნებული ვართ დანარჩენი ხელის მომწერნიც თანახმა იქნებიან ჩვენი საპასუხო წერილისა“-ო.

ბ-ნ ს. ხუნდაძეს რომ ეს წერილი არ დაესტამბა, მართალი მოგახსენოთ, ჩვენი რედაქციების სრულიად სამართლიან მათრახებს მოთმინებით ავიტანდი და თავის გასამართლებლათ კრინტსაც არ დავძრავდი, მარა ამ წერილს შემდეგ დაჩუმება ხომ ცნობილ „დეკლარაციაში“ გამოთქმულ აზრის სოლიდარობის და დასტურება იქნებოდა და ამის გამო იძულებული ვარ სიჩუმე დავარღვიო და თავი ვიმართლო. ბევრმა შეიძლება კიდეც გაიცინოს: „ხელი მოგიწერია და რაღა დროს თავის მართლებააო“. მარა რა გაეწყობა, ცოდვა გამყლავნებული ჯობია.

გასულ აპრილში მომხდარ თავად-აზნაურთა საგანგებო კრება მთელი ორი-სამი დღე იმის თათბირში იყო, თუ რა საშვალება გამოეძებნათ, რომ გლეხებსა და თავად-აზნაურთა შორის გამწვავებულ მდგომარეობისათვის რამე წამალი დაედოთ. ამის შესახებ ბევრი სხვა და სხვა აზრი გამოითქვა. სხვათა შორის 11 აპრილის კრებაზე ბ. ს. ხუნდაძემ წაიკითხა თავისი წერილი, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ გამწვავების მიზეზი ინტელიგენტთა ქადაგება არააო. წერილის შინაარსი ისეთი სიმპატიური იყო, რომ მთელი კრების ერთობლივი ტაშის ცემა გამოიწვია. მეც, თქვენი უმორჩილესი, ტაშს ვუკრავდი ავტორს. კრებამ თხოვა ბ. ხუნდაძეს თავისი წერილი ჩვენს გაზეთებში დაებეჭდა და ხალხში გაევრცელებია. რამდენიმე დღის შემდეგ ეს წერილი შემთხვევით ხელის მოსაწერათ. მე მეგონა კრებაზე წაკითხულ წერილის რედაქცია სავსებით დაცული იყო, ბოლომდის აღარ ჩამიკითხავს, რადგანაც სხვ. გან მიმეშურებოდა, და ხელი მოვაწერე. წერილის დასტამბვის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ რედაქცია შეცვლილი ყოფილა.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ მოპირდაპირე კლასთა „**ძმურათ ხელს ხელს ჩაკიდება**“ რადგან „**საერთო ჰარმონია და ჩვენებური ავტონომია** არც მწამდა, არცა მწამს და ვერც ვიწამებ. ამის გამო ბევრთან მჭონია დავა და ბევრი ქუთათური ინტელიგენტი გამიჯავრებია იმ ბედითი „დეკლარაციის“ დასტამბვამდისაც...

ასჯერ და ათასჯერ წინააღმდეგი ვარ წვა-დაგვისა და ხოცვა-ჟლეტის (თუ კი ეს არსებული მოძრაობის გამოისობით მართლა ისე გავრცელებულია ჩვენში, როგორც ზოგიერთი თავად-აზნაური ამტკიცებდა და რაც მე პირადათ არა მჯერა), დანარჩენში კი ვიჯმნი „თავად-აზნაურობის დეკლარაციისაგან.“

იასონ ნიკოლაიშვილი.

—

ბატონო რედაქტორო, გთხოვთ ამ შენიშვნას თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ.

ამას წინეთ ჩვენ და «კახეთის» საზოგადოების გამგეობის შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რომელსაც შედეგათ ჩვენი დათხოვნა მოჰყვა. რადგანაც ეს ამბავი, ჩვენის აზრით, ყურადღების ღირსია, ამისათვის საჭიროთ ვსცანით საზოგადოებას ვაუწყოთ—რისთვის ჩამოვარდა ჩვენს შორის უთანხმოება და რათ დაგვითხოვა საზოგადოების გამგეობამ. «კახეთის» საზოგადოებაში არსებობდა შემდეგი ჩვეულება: როდესაც რომელიმე მოსამსახურეს ითხოვდენ ან იღებდენ—ეს ეკითხებოდა საზოგადოებაში მომუშავე მოსამსახურეთ. 5—6 ივნისს ჩვენ გავიგეთ, რომ გამგეობას ჩვენ დაუკითხავათ, ერთი ჩვენი ამხანაგის, ნიკო მირიანაშვილის დათხოვნა გადაეწყვიტა. რადგანაც ეს გადაწყვეტილება უსამართლოთ ჩავთვალეთ, ამისათვის გამგეობას წინადადება მივეცით, რომ დათხოვნილი ამხანაგის საქმე ხელ-ახლა, ჩვენთან ერთათ გაერჩია. ჩვენ წინადადებაზე გამგეობამ უარი გამოგვიცხადა, რის შემდეგ ყველა კანტორაში მომუშავენი გავიფიცეთ და გამგეობას წარვუდგინეთ შემდეგი მოთხოვნა: მოგვეცეს უფლება, რომ ყველა მოსამსახურე პირის მიღება-დათხოვნის საქმეში გამგეობასთან ერთათ ჩვენც ვიღებდეთ მონაწილეობას. ამასთან ერთად მოვითხოვეთ დათხოვნილი ამხანაგის საქმის ხელ-ახლა გარჩევა. ჩვენ მხარი დაგვიჭირეს სარდაფში მომუშავე მუშებმაც და ამ ნაირად «კახეთის» საზოგადოების ყველა მოსამსახურეებმა მუშაობაზე ხელი ავიღეთ მანამდის, სანამ საზოგადოება ჩვენს მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა. უსამართლოთ და მეტათ თავხედურათ ჩათვალა საზოგადოების გამგეობამ ჩვენი საქციელი. უსამართლობას ხედავენ იმაში, რომ ერთად-ერთ ქართულ, სიმპატიურ დაწესებულებას, სადაც, მათი წყალობით, ჩვენ დღემა ჰყრის გვსმდით, ვაფერხებდით, ხოლო თავ-ხედობას ხედავდენ იმაში, რომ ჩვენ მოსამსახურეებმა გავბედეთ და ბატონებს ზემო აღნიშნული მოთხოვნა წარვუდგინეთ. „თავხედობით“ აღელვებულმა გამგეობამ მყისვე ჩვენი დათხოვნა და ჩვენს მაგივრად სხვა მუშების მოწვევა გადაწყვიტა. ამისათვის გაიგზავნა კახეთში გამგეობის წევრი თ-დი აბაშიძე, რომელმაც საუფლისწყლო მამულიდგან 20 კაცზე მეტი ჩამოიყვანა, მაგრამ როდესაც ახლად ჩამოყვანულმა მუშებმა გაიგეს საქმე რაშიაც იყო, მუშაობაზე უარი განაცხადეს და უკან წასასვლელი და გაცდენილი დღეების ფული მოითხოვეს. გამგეობა საგონებელში ჩავარდა.

კახეთიდგან ჩამოყვანილ ხალხს რწმუნება დაუწყო, რომ ჩვენ გაფიცულნი ყოვლად წამხდარი და გაფუჭებული ხალ-

ხი ვართ, რომ ჩვენ გაფიცვას არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს, რომ ის ამხანაგი, რომელიც გამგეობამ ჩვენ დაუკითხავათ დაითხოვა, ყოვლად უზნეო და წამხდარი კაცია, რაც ვითომდა ჩვენც ვიცით... ერთის სიტყვით, გამგეობა არწმუნებდა ახალ მუშებს ძველების უსამართლობაში და უსვინდისობაში. ცარიელი სიტყვები მუშებმა არ იკმარეს და მოითხოვეს საბუთი. თავის საქციელის სიმართლის საბუთად საზოგადოებამ სამედიატორო სამართალი ირჩია, რომლის გადაწყვეტამდის ჩამორეკილ მუშებს თხოვა მოეცადათ. 21 ივნისს შეიკრიბენ ჩვენ მაერ არჩეულნი მედიატორები ფ. გოგიჩაიშვილი, ა. ჯაბადარი, გ. ლასხიშვილი, კ. ჯაფარიძე, მ. ნათიძე და ს. ფირცხალავა, ამოირჩიეს თავმჯდომარედ შ. ჩიტაძე და შეუდგნენ ჩვენ შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების განხილვას. მედიატორეთ, „კახეთის“ საზოგადოების რწმუნებულების ს. ვახვახიშვილის და ვ. რცხილაძის წინადადებით შემდეგი კითხვა უნდა გაერჩიათ: გვქონდა თუ არა ჩვენ, მოსამსახურეთ, უფლება და საფუძველი გავფიცულიყავით, როდესაც ვიცოდით, რომ საზოგადოებას ამითი დიდი ზარალი მოუვიდოდა. კითხვის ამ ნაირათ დაყენებაზე ჩვენ უარი განვაცხადეთ. მედიატორებმაც ერთხმად, გარდა ბ. ფილიპე გოგიჩაიშვილისა, რომელიც თავიდან ბოლომდე ჩუმად იყო და არავითარი გარკვეული აზრი არ გამოუთქვამს*), უხერხულად დაინახეს ამ კითხვას შეხებოდნენ და დაადგინეს: ის უთანხმოება, რომელიც ჩამოვარდნილია „კახეთის“ გამგეობასა და მოსამსახურეთა შორის სამედიატორო სასამართლოს საგანს არ შეადგენს; მოსამსახურეთ ყოველთვის აქვთ უფლება გაფიცვისა, რადგანაც გაფიცვა მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებელი საშვალებაა. ამისათვის მედიატორებმა სამედიატორო სამართალზე უარი განაცხადეს, ხოლო საზოგადოებას ურჩიეს მოსამსახურეებთან თვითონ მორიგებულიყო, რაზედაც შუამავლობა და დახმარება დაპირდენ. მედიატორების ამ ნაირმა გადაწყვეტილებამ „კახეთის“ საზოგადოება მეტათ გააბრაზა და 24 ივნისს შემდეგი დაადგინა: „კახეთის“ საზოგადოების მოსამსახურეთ!**) ამით პატივი გვაქვს ვაუწყოთ, რომ სარევიზიო კომისიის, გამგეობის და საზოგადოების შვიდი მოწვეული წევრისაგან შემდგარმა შეერთებულმა კრებამ ამა 23 ივნისს დაადგინა: მოსამსახურეთა გაფიცვის გამო, როგორც სარდაფში, ისე კანტორაში, სამუშაოთ მოწვეულ იქმნას თვით საზოგადოების წევრები ანუ მათი შვილები. რაც შეეხება გაფიცულებს—ისინი ჩაითვალონ გარიცხულებათ. ხელს აწერენ გამგეობის თავმჯდომარე ს. ვახვახიშვილი და გამგეობის წევრი ვ. რცხილაძე. რაც შეეხება მესამე წევრს გამგეობისას თ-დ აბაშიძეს, დადგენილებაზე ხელი არ უწერია, რადგანაც მისი აზრით, მუშებთან ლაპარაკი და მათთან რაიმე საქმის დაჭერა თავადისათვის სამარცხვინო საქმეა. თ-დ აბაშიძე საჯაროდ, ზეზით გაიძახოდა: „странно и удивительно, какой-нибудь Цивцивадзе долженъ имѣть право принимать участіе въ рѣшеніи вопросовъ, касающихся пріема и—увольненія служащихъ Общества!“ იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენ გაფიცულები ვიყავით სარდაფში ამუშავებდენ სალდათებს და ვიღაც სხვებს...

როგორ მოიქცენ კახეთიდან ჩამოყვანილი მუშები, რომელნიც სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას უცდიდენ? როდესაც სამედიატორო სასამართლოს პასუხი გაიგეს, არც ერთი მათგანი, საზოგადოების სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვეცილა, მუშაობაზე არ დათანხმდა და უკანვე დაბრუნდენ. ამ გარემოებამ გამგეობა, ცოტა არ იყოს, დააღონა. მართალია, მათ დაადგინეს, რომ უბრალო მუშებათ თავიანთი შვილები და ნათესავები მოეწვიათ, მაგრამ რომელი თავადი იკადრებდა სარდაფში მუშაობას!! ეს ხომ შებღალავდა მათ თავადიშვილობას!! საზოგადოებამ ისევ მუშებთან მოლაპარაკება არჩია.

მუშებმა მოითხოვეს რომ, დარჩენილიყო ისევ ისე ძველი პირობები მუშაობისა; მოითხოვეს აგრეთვე ჩვენი უკანვე მიღება. პირველი მოთხოვნის შესახებ გამგეობამ დიდი ყოყმანის შემდეგ, თანხმობა გამოუცხადა. რაც შეეხება ჩვენ უკანვე მიღებას—ამაზე გამგეობამ ჯერ პასუხი მუშებს, რომ ეს მათი საქმე არ არის, რადგანაც ჩვენ, ჩვენი მდგომარეობით, როგორც კანტორის მომუშავენი, სულ სხვა ვართ და სარდაფის მუშები კი სხვა, თქვენ და მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობსო და ამისათვის მაგ მოთხოვნაზე ხელი აიღეთო. ასე იყო თუ ისე მუშები, დაიმედებულნი, რომ მათ ისევ ისე ძველ პირობებში ამუშავებდენ—მუშაობას შეუდგენ, მაგრამ მეორე დღესვე დარწმუნდენ, რომ მოტყუებულნი დარჩენ. თითქმის ყველა ის უფლებები რომლითაც მუშები წინათ სარგებლობდენ გამგეობამ გააუქმა. მაგალითად მუშებს ჰქონდათ მინიჭებული საამხანაგო სამართლის უფლება, სარგებლობდენ ჩაით, შაქრით—ყველა ეს მუშებს მოუსპეს.

აქ საჭიროთ ვთვლით აღვნიშნოთ ერთი გარემოება. როდესაც სარევიზიო კომისიის წევრი თავადი ზ. გ. ჭავჭავაძე ერთ მუშათაგანს ელაპარაკებოდა და მუშამ სიტყვის შებრუნება გაბედა—თავადი გლეხის „სიბრიყვემ“ განარისხა და ბრძანება გასცა ეს „თავხედი“ მუშა ამწამსვე სამსახურიდან გააგდეთო, რაც რასაკვირველია მოწიწებით შესრულებულ იქმნა. აი მოკლეთ ის, რაც გვინდოდა გვეუწყებია საზოგადოებისათვის და ეხლა თვით საზოგადოებამ დასდოს თვისი მსჯავრი....

ამხანაგების მონდობილობით „კახეთის“ სახ. კანტორის წარმოადგა მოსამსახურე **ვარ. წივწივაძე.**

---

*) 6 ივნისს კერძო ლაპარაკში ბ. გოგიჩაიშვილმა აშკარათ გამოგვიცხადა, რომ ის ვერ გაამართლებს ჩვენს მოთხოვნას, რადგანაც ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება წარმოების საქმეს შეაფერხებს. ჩემს საქმეს როგორც მინდა ისე მოვაგვარ-მოვაწყობო, ვისაც მინდა იმას დავითხოვ და ვინც მინდა იმას მივიღებო. რა საქმეაქვს მუშებს ჩემ საქმეში გაერიოსო.

**) ეს დადგენილება ჩვენმა „ნაციონალისტებმა“ რუსულ ენაზე შეადგინეს და რუსულადვე მოგვწერეს.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 10-го Іюля 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა, რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.